F171
1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**4**

აპრილი

თბილისი—1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 1 თებერვლის ბრძანება № 55

### ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და კიროვის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ხაზვის სწავლების მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და კიროვის რაიონების სკოლებში ხაზვის სწავლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გადაისინჯა ხაზვის მასწავლებელთა კადრების შემადგენლობა, მთელ რიგ სკოლებში მოეწყო ხაზვის კეთილმოწყობილი კაბინეტები, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა. თუ 1965 წელს კონკურსში აღნიშნული რაიონების სკოლების არც ერთ მოსწავლეს არ მიუღია მონაწილეობა, 1970 წელს მე-8 რესპუბლიკურ კონკურსში ორჯონიკიძის რაიონის 16 საშუალო სკოლიდან 157 მოსწავლე მონაწილეობდა, ხოლო კიროვის რაიონის 12 საშუალო სკოლიდან—69.

კარგად არის დაყენებული ხაზვის სწავლება ორჯონიკიძის რაიონის 62-ე საშუალო სკოლაში (მასწ. ა. შავგულიძე), ამ სკოლაში შექმნილია ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ავტომატიზირებული ხაზვის კაბინეტი. კაბინეტში მოსწავლეთათვის შექმნილია საჭირო პირობები ნაყოფიერი მუშაობისათვის. მე-7 კლასში მასწავლებელმა ა. შავგულიძემ გაკვეთილის თემა „ნახაზზე ხედების (გეგმილები) განლაგება და მათი სახელწოდება“ ახსნისას მოსწავლეებს ჯერ უჩვენა იმ დეტალის ნატურა, რომლის დაფაზე გამოხაზვა ჰქონდა განზრახული, შემდეგ კი ეკრანზე პროექტ[illegible] საშუალებით იმავე დეტალის აქსონომეტრიული გამოსახ[illegible]ება. ეკრანზე მასწავლებელმა თვალსაჩინოდ გააცნო მოსწავლ[illegible] ტყეზე გეგმილების განლაგების სისტემა. გაკვეთილის მს[illegible] პროცესში კარგად იყო შერწყმული ერთმანეთთან თვა[illegible]

(ეკრანზე), ნატურა და მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა. ასევე მაღალხარისხოვნად ჩაატარა გაკვეთილი ა. შავგულიძემ მე-8 კლასში თემაზე—„ჭრილები და კვეთები". კარგად არიან დაუფლებულნი საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს: ორჯონიკიძის რაიონის 102-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ქ. ყუფარაძე, 128-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. ჩუდნოვა, 52-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. შულგინა. მათ მოსწავლეებს შესწევთ უნარი ფიზიკასა, მათემატიკასა, ასტრონომიასა და ქიმიაში შესწავლილი მთელი რიგი საკითხების გრაფიკული წარმოსახვისა.

დიდ დახმარებას უწევს ხაზვის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრა (გამგე ამხ. ს. ბურჭულაძე), რომელიც საზამთრო არდადეგების პერიოდში სისტემატურად ატარებს სემინარებს. ასევე, აღსანიშნავია ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხაზვის კაბინეტის (გამგე ამხ. ქ. გიორგაძე) ნაყოფიერი მუშაობა.

ზემოაღნიშნული ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის და კიროვის რაიონების სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს: ცუდადაა დაყენებული ხაზვის სწავლება კიროვის რაიონის 67-ე საშუალო სკოლაში. ხაზვის მასწავლებელმა მ. კოზმაევამ სუსტად ჩაატარა გაკვეთილი მე-7 კლასში. გაკვეთილის თემა „შეუღლებანი", „ერთნაირი რადიუსიანი წრეხაზების შეუღლება გარე და შიგა შეუღლების რკალებით და ორი ერთნაირი რადიუსიანი წრეხაზების შეუღლება სწორი ხაზებით (გარე შეხებით)"—პროგრამით არ არის გათვალისწინებული და არც სახელმძღვანელოშია მოცემული, ეს მაშინ, როცა პროგრამული მასალა მოსწავლეებმა სუსტად იციან. სუსტად ჩაატარა ამავე მასწავლებელმა გაკვეთილი აგრეთვე მე-8 კლასშიც. დაბალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე ჩაატარეს გაკვეთილები ორჯონიკიძის რაიონის 134-ე და 123-ე საშუალო სკოლების ხაზვის მასწავლებლებმა ე. ბოლქვაძემ და დ. ვაჩეიშვილმა.

კიროვის რაიონის სკოლებში საერთოდ სუსტადაა დაყენებული ხაზვის სწავლება, ხოლო 70-ე და 72-ე საშუალო სკოლებში ხაზვის მასწავლებლების უყოლობის გამო გაკვეთილები ცდება. ორჯონიკიძისა და კიროვის რაიონების განათლების განყოფილებებს არც ერთხელ არ შეუსწავლიათ და არ განუხილავთ სკოლებში ხაზვის სწავლების მდგომარეობა, არ გაუტარებიათ სათანადო ღო-

ნისძიებები რაიონის სკოლებში საგნის სწავლების გასაუმჯობესებლად, სკოლების კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველსაყოფად და ხაზვის კაბინეტების მოსაწყობად.

შემოწმებული სკოლების ხაზვის მასწავლებელთა უმრავლესობა გაკვეთილზე მოუმზადებლად შედის, არ აქვს გაკვეთილის გეგმა, არ იყენებს თვალსაჩინოებას, სათანადო ალბომებს, პლაკატებსა და სხვ. ისინი არ ზრუნავენ ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში მოსწავლეთა მასობრივი ჩაბმისათვის, არ გააჩნიათ კლასგარეშე მუშაობის გეგმები და არ აქვთ ორგანიზებული არასასწავლო დროს მოსწავლეებთან მუშაობა.

ამ რაიონების კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორები არ აქცევენ საკმაო ყურადღებას ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში მოსწავლეთა ჩაბმას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და კიროვის სახელობის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ხაზვის სწავლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, იზრუნონ სკოლების ხაზვის კაბინეტების სწავლების თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა და საჭირო ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფისათვის;

ბ) განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრონ ხაზვის მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნების საქმეს, რისთვისაც ზუსტი კონტროლი დააწესონ ხაზვის მასწავლებლის სემინარებსა და მეთოდგაერთიანებებში მონაწილეობაზე.

2. ქ. თბილისის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე):

ა) განიხილოს ქ. თბილისის სკოლებში ხაზვის სწავლების მდგომარეობა;

ბ) უზრუნველყოს ხაზვის მასწავლებლებით კიროვის რაიონის 70 ე და 72-ე საშუალო სკოლები.

3. სკოლების დირექტორებმა:

ა) მიიღონ საჭირო ღონისძიებანი ხაზვის კაბინეტებისათვის შესაფერისი ოთახების გამოსაყოფად, უზრუნველყონ ხაზვის კაბინეტების ავტომატიზაცია და კაბინეტებისათვის სახაზავი სპეციალური მაგიდების შეძენა;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ხაზვის მასწავლებლების მუშაობაზე, პერიოდულად შეისწავლონ სკოლებში ხაზვის სწავლების მდგომარეობა და საკითხი განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე სათანადო ღონისძიებების დასახვით:

ა) სისტემატურად იზრუნონ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საფუძვლიანად ემზადონ ხაზვის გაკვეთილების მაღალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე ჩატარებისათვის, გამოიყენონ ხაზვის გაკვეთილებზე თვალსაჩინოება და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებში განავითარონ საგნების ჭეშმარიტი ფორმის აღქმისა და ტექნიკური აზროვნების უნარი;

ბ) აღმოფხვრან ფორმალიზმი სწავლებაში, მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეების მიერ პრაქტიკული სამუშაოების დამოუკიდებლად შესრულებას, ჩვევების გამომუშავებას;

გ) მეცადინეობის პროცესში ფართოდ გამოიყენონ სასკოლო სახელოსნოში დამზადებული დეტალების ნატურიდან გამოხაზვა;

დ) უზრუნველყონ სკოლებში ნორჩ მხაზველთა წრეების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის წარმართვა ნორჩ მხაზველთა კონკურსის დებულების შესაბამისად.

4. ეთხოვოს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრას (ამხ. ს. ბურჭულაძე) ყოველი წლის ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩაატაროს სემინარი ქ. თბილისის ხაზვის მასწავლებელთათვის.

5. ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ (დირექტორი ამხ. შ. დევდარიანი):

ა) უახლოეს ხანში სანიმუშოდ აღჭურვოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხაზვის კაბინეტი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით;

ბ) გააძლიეროს ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებაზე ხელმძღვანელობა და დახმარება;

გ) პერიოდულად მოაწყოს ხაზვის სპეციალისტთა მონაწილეობით შორეულ რაიონებში გასვლითი სემინარები;

დ) მოამზადოს და დაიყვანოს ადგილებამდე მეთოდური მითითება თემაზე „ხაზვის კაბინეტი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში“.

6. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) ხაზვის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების ლექტორთა ჯგუფი დააკომპლექტოს მაღალკვალიფიციური კადრებით და უზრუნველყოს მათი ნაყოფიერი მუშაობა.

7. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძე) სათანადო ყურადღება მიაქციოს პედაგოგიური კითხვისათვის ხაზვის მასწავლებელთა მომზადებასა და სექციური სხდომების მაღალხარისხოვნად ჩატარებას.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა აღნიშნული ბრძანება განიხილონ საშუალო და რვაწლიანი სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და ამ საგნის სწავლების გასაუმჯობესებლად დასახონ სათანადო ღონისძიებანი.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. აკ. ჩხიკვაძე):

ა) მარტის არდადეგების პერიოდში პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრასთან ერთად ჩაატაროს თბილისის სკოლების ხაზვის მასწავლებელთა ერთდღიანი თათბირ-სემინარი;

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 1 თებერვლის ბრძანება № 56

### ბოლნისის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ

როგორც განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ბოლნისის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლებს, გარკვეულ დადებით საქმიანობასთან ერთად სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში აქვთ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი: ხარვეზებს აქვს ადგილი სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში, ამ სკოლებისადმი ხელმძღვანელობაში, მასწავლებელთა მუშაობისადმი შინასასკოლო კონტროლში, მეთოდურ მუშაობასა და ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებაში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი ბოლნისის საღამოს (ცვლის) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად გადაეგზავნოს ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილებას.

2. ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ზ. ბარათაშვილი) მიმდინარე წლის 10 მაისამდე მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოხსენებით ბარათში აღნიშნულ, აგრეთვე მსგავს ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

3. განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 19 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 2 თებერვლის-ბრძანება № 65

### რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ზუგდიდის, ვანის, თელავისა და ჩოხატაურის რაიონებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის შემოწმების შედეგად აღვნიშნავ, რომ განათლებისა და სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ორგანოები, კომკავშირის კომიტეტებთან ერთად, გარკვეულ მუშაობას ატარებენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 23 მაისის ერთობლივი დადგენილების—„კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ შესასრულებლად.

ზუგდიდის რაიონში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლასთან არის შექმნილი, მათ შორის მიწის ნაკვეთი, ჩაის პლანტაცია და სხვა ობიექტები გამოყოფილი აქვს 8 საშუალო სკოლას და 3 სკოლა-ინტერნატს. ამ სკოლებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებზე მიმაგრებულია საჭირო ტექნიკა—სასოფლო-სამეურნეო მანქანები, იარაღები, ტრაქტორები და სხვა.

ახალსოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადას (ხელმძღვანელი IX კლასის მოსწ. მ. როგავა) ამავე სოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ან. როგავა) გამოყოფილი აქვს 13 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ბრიგადას სასწავლო-საწარმოო გეგმის შესაბამისად სამუშაოთა მთელი კომპლექსის შესასრულებლად შექმნილი აქვს ყველა პირობა. ბრიგადაში საჭირო ყურადღება

ექცევა შრომის ნაყოფიერებას და მის კულტურას, აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ მოთხოვნათა დაცვას; მოსწავლეთა ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 8,8 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც კოლმეურნეობის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობას ერთი ტონით აღემატება.

ზამთრის არდადეგების დროს მოსკოვში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების საკავშირო შეკრებაზე ახალსოფლის საშუალო სკოლას ჯილდოდ გადაეცა ტრაქტორი „ბელორუსი", ხოლო გორის, წითელწყაროს, ქობულეთის, ადიგენის, მცხეთისა და ქარელის რაიონების წარმომადგენლები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა საჩუქრით.

თელავის რაიონის ნაფარეულის საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა მუშაობს ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც გამოყოფილია 3 ha ვენახი. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა გადაყვანა და გადმოყვანა ტრანსპორტით. გასულ წელს 39 კურსდამთავრებულიდან 31 მუშაობას აგრძელებს ამავე საბჭოთა მეურნეობაში. ფშავლის კოლმეურნეობის მექანიზატორთა უმრავლესობა ამავე სკოლის კურსდამთავრებულია.

სერიოზულ მუშაობას ეწევა ჩოხატაურის რაიონის სოფ. განახლების საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა. გასულ წელს ბრიგადამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 29 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გათვალისწინებული 25 ტონისა.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები შექმნილია ვანის რაიონის სკოლების უმრავლესობაში. რვაწლიან და საშუალო სკოლებზე მიმაგრებულია თითო ჰექტარი ხახვის ნათესი, რომელზედაც მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებმა ჩაატარეს ყველა სახის სამუშაოები და სახელმწიფოს ჩააბარეს 120 ტონამდე ხახვი.

მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრ სკოლაში ბრიგადები ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. ბრიგადის საბჭოები დებულების მიხედვით არ არის არჩეული. თელავის რაიონის ფშავლისა და ნაფარეულის საშუალო სკოლების მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებს ფიზკულტურისა და ისტორიის მასწავლებლები ხელმძღვანელობენ. ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლაში შექნილია 10 ბრიგადა, განახლების საშუალო სკოლაში—5 ბრიგადა, ხოლო ჩოხატაურის პირველ საშუალო სკოლაში—4 ბრიგადა, რაც დებულებას ეწინააღმდეგება.

ზუგდიდის რაიონის სკოლების მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების უმრავლესობას, იმის გამო, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ აქვთ ნაკვეთები გამოყოფილი, მუშაობა უხდებათ სხვადასხვა კოლმეურნეობებში არაორგანიზებულად.

შესწავლილი რაიონების უმრავლეს სკოლებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე ორგანიზებულ მწარმოებლურ შრომას არ ექცევა სათანადო ყურადღება, სააღმზრდელო მუშაობა არ არის დაკავშირებული სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან; დაბალ დონეზე დგას საცდელი მუშაობა მემცენარეობასა და მეცხოველეობაში; სუსტად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესწავლა; ბრიგადებს არა აქვთ სასწავლო-საწარმოო გეგმები; ბრიგადებსა და რგოლებს შორის არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება; ბრიგადებში სისტემატურად არ ტარდება ლექციები, საუბრები, დისპუტები; შეხვედრები, არ ეწყობა კინოფილმებსა და სპექტაკლებზე კოლექტიური დასწრება და სხვ.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში პოლიტ-აღმზრდელობითი, კულტ-მასობრივი და სპორტული ღონისძიებების დაბალ დონეზე დაყენება იმის შედეგიცაა, რომ სუსტად მუშაობენ პედაგოგ-აღმზრდელები და კომორგები.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული, რომ სკოლის დირექტორები ღრმად არ გაეცვნენ დადგენილებას და დებულებას მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შექმნის შესახებ. ეს საქმე ჩათვალეს მეორე ხარისხოვნად და იგი ბიოლოგიის მასწავლებლებს მიანდეს, ხოლო განათლების განყოფილებათა გამგეები დაკმაყოფილდნენ სკოლის დირექტორებთან ამ საკითხის განხილვით და შემდეგ სათანადო დახმარება და კონტროლი არ გაუწიეს სკოლებს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შექმნისა და მათი მუშაობის სწორად ორგანიზაციის საქმეში.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის დირექტორებმა:

ა) მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა შექმნან ყველა სკოლასთან, ამასთან მათი მუშაობის სწორად ორგანიზაციის საქმეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცედ იხელმძღვანელონ მოსწავლეთა საწარმო ბრიგადის სანმუშო დებულებითა და ამ საკითხზე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 23 მაისის ერთობლივი დადგენილებით—„კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ";

ბ) ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ მოსწავლეთა შრომითი მომზადების გაუმჯობესებისათვის, მთავარი ყურადღება მიაქცეონ იმას, რომ მოსწავლეთა ბრიგადის მუშაობაში ძირითადია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე ორგანიზებული მწარმოებლური შრომა—ცდების დაყენება მემცენარეობასა და მეცხოველეობაში და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაუფლება.

მკვეთრად გააუმჯობესონ კავშირი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, პერიოდულად მოაწყონ შეხვედრები სპეციალისტებთან;

გ) განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ მოსწავლეთა ბრიგადის სასწავლო-საწარმო გეგმის შესრულებას, აგრეთვე ქმედითი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ ბრიგადის საბჭოს გეგმის შესრულებაში;

ბრიგადებსა და რგოლებს შორის ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, ამასთან პერიოდულად შეამოწმონ აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის მდგომარეობა და სხვადასხვა ჯილდოებით წაახალისონ მოწინავე ბრიგადები, რგოლები და ბრიგადის წევრები;

დ) მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში განსაკუთრებით გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, კულტ-მასობრივი და სპორტული მუშაობა. მოაწყონ მოსწავლეთა შრომისა და დასვენების სწორი ორგანიზაცია. ამასთან ეს მუშაობა საფუძვლიანად დაუკავშირონ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს. ამ საქმეში ფართოდ ჩააბან პედაგოგ-აღმზრდელები და კომორგები;

ე) მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა მომზადებას ცხოვრებისათვის და დახმარება გაუწიონ მათ პროფესიის სწორად შერჩევაში;

ვ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხილონ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის ცალკეული საკითხები და მტკიცე კონტროლი დააწესონ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

2. ზუგდიდის, ვანის, თელავისა და ჩოხატურის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა (მ. ნარმანია, მ. ხარძეიშვილი, ა. ნადაშვილი, მ. კეკელიძე):

ა) დააყენონ საკითხი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის წინაშე, რათა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებს გამოუყონ მიწის ნაკვეთი, ბაღები, ზვრები და სხვა ობიექტები, აგრეთვე უზრუნველყონ ბრიგადები სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით, ტრაქტორებით, ინვენტარით და სასწავლო საწარმოო გეგმის შესაბამისად სამუშაოთა მთელი კომპლექსის შესასრულებლად შეუქმნან მათ სათანადო პირობები;

ბ) რაიონის სკოლებში პერიოდულად შეისწავლონ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის მდგომარეობა და საკითხი განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს აღნიშნული ბრძანება განიხილონ რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების თათბირზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი მსგავს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 19 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთობლივი

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1971 წლის 5 თებერვალი

**ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-10 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მე-11 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო აღნიშნავენ, რომ ფოტომოყვარულთა რესპუბლიკურმა კონკურსმა ხელი შეუწყო ამ საქმიანობაში მოსწავლეთა გარკეული ნაწილის ჩაბმას, მასში სწავლის, შრომისა და დასვენების ამსახველი ფოტოსურათების შექმნის ჩვევების გამომუშავებას.

მე-10 რესპუბლიკურ კონკურსში საქართველოს 46 ქალაქისა და რაიონის სკოლებიდან გამოიგზავნა 1246 ნამუშევარი, რომლებიც ექსპონირებულ იქნა ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსის შემაჯამებელ გამოფენაზე.

კონკურსში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური, აჭარის ასსრ, ქ. ქუთაისის, ქ. ჭიათურის, ქ. ცხინვალის სადგურებისა და ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფოტომოყვარულთა წრეების წევრებმა.

გამოფენაზე კარგად შესრულებული ნამუშევრები წარმოადგინეს ქ. თბილისის 88-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ბადრი დათუაშვილმა, ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის მე-8

კლასის მოსწავლე თამაზ ალმასიამ, ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე აკაკი სანიკიძემ, ქ. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე თეიმურაზ ჯაიჯამემ, ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ტიტე მესხმა და სხვებმა.

ფოტოკონკურსში არ მიუღიათ მონაწილეობა ყაზბეგის, ყვარლის, გეგეჭკორის, ჩოხატაურის, კასპის, ლაგოდეხის და ბევრი სხვა რაიონისა და ქალაქის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო ადგენენ:

1. რესპუბლიკური კონკურსის შემაჯამებელ გამოფენაზე წარმატების მოპოვებისათვის პირველი პრემიით (20 მანეთის ფასიანი საჩუქრითა და პირველი ხარისხის დიპლომით) დაჯილდოვდეს 3 მოსწავლე; მეორე პრემიით (15 მანეთის ფასიანი საჩუქრით და მეორე ხარისხის დიპლომით) 5 მოსწავლე; მესამე პრემიით (10 მანეთის ფასიანი საჩუქრით და მე-3 ხარისხის დიპლომით 10 მოსწავლე, სიგელებით—49 მოსწავლე.

2. კონკურსში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ:

**ა) პირველი ხარისხის დიპლომით**

1. ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე

2. ქ. ბათუმის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე

3. ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფოტომოყვარულთა წრე

4. ქ. ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ფოტომოყვარულთა წრე.

**ბ) მეორე ხარისხის დიპლომით:**

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტომოყვარულთა წრე

2. ქ. ცხინვალის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე

3. ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე

4. ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლის ფოტომოყვარულთა წრე

5. ქუთაისის მე-20 საშუალო სკოლის ფოტოწრე;

**გ) მესამე ხარისხის დიპლომით:**

1. ქ. თბილისის 59-ე საშუალო სკოლის ფოტოწრე
2. ქ. თბილისის 88-ე საშუალო სკოლის ფოტოწრე
3. ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტოწრე
4. დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტოწრე
5. წალკის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტოწრე
6. ქ. სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტოწრე.

**3. ნორჩ ფოტომოყვარულთა წრეებზე ნაყოფიერი ხელმძღვანელობისა და მე-10 რესპუბლიკურ კონკურსში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისათვის დაჯილდოვდნენ სიგელებით:**

1. ფაჩუაშვილი ლერი—ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
2. დიასამიძე გივი—ქ. ბათუმის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
3. მეძველია ვარლამი—ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
4. რაზმაძე უშანგი—ქ. ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
5. გენძეხაძე კორნელი—ქ. ქუთაისის მე-20 საშუალო სკოლის ფოტოწრის ხელმძღვანელი
6. კვირიკაშვილი შალვა—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
7. ფუხაევი სერგო—ქ. ცხინვალის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
8. ცხოვრებაძე დიმიტრი—ქ. რუსთავის ნორჩ ტ[illegible]ოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვ[illegible]
9. დათუაშვილი ზურაბი—ქ. თბილისის 134-ე [illegible] სკოლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი



F 3575

10. ბაბაიანი კ.—ქ. თბილისის 59-ე საშუალო სკოლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი

11. ცხაოშვილი ვალერიანი—ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი

12. კაკალაშვილი ი.—დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი

13. უდუმოვი ვ.—წალკის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი

14. ჩხიკვაძე გ.—ქ. სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი

4. ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-11 რესპუბლიკური კონკურსი დევიზით—„ჩვენი სამშობლო" ჩატარდეს 1971 წლის 10 მაისამდე და მიეძღვნას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

5. ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-11 რესპუბლიკური კონკურსის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ქოჩაკიძე მიხეილ—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე—თავმჯდომარე

2. ნიკოლაიშვილი თამაზი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე—
—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

3. ლომიძე ზურაბი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგის მოადგილე

4. ლესელიძე თიესა—საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი

5. ეპიტაშვილი გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

6. თვაური ლუდმილა—განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი

7. კიკნაძე გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორის მოადგილე

8. თურქია ოთარ—საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის თავმჯდომარე

9. ბალაბუევი ალექსანდრე—ჟურნალ „საქართველოს“ მხატვარი

10. მამასახლისი ალექსანდრე—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

11. გამყრელიძე ნათელა—საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციის უფროსი რედაქტორი.

6. დაევალოს ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-11 რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს:

ა) მიაგლინოს სპეციალისტები დასახმარებლად იმ ქალაქებსა და რაიონებში, რომლებიც კონკურსში არ მონაწილეობდნენ;

ბ) უზრუნველყონ რაიონები საჭირო რაოდენობის საინსტრუქციო მასალებითა და დებულებებით.

7. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მდივნებს:

ა) განიხილონ ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-10 რესპუბლიკური კონკურსის შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების აღნიშნულ ღონისძიებაში ფართოდ ჩაბმისათვის;

ბ) სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ფოტომოყვარულთა წრეებმა ფართოდ ასახონ ჩვენი ქვეყნის მიღწევები, მშენებლობანი, მოხარდი თაობის სწავლა, შრომა, დასვენება და სხვა.

8. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალური ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს (ამხ. მ. კოდუა) წინაშე სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის ფოტო მასალების ფონდის გამოყოფის შესახებ.

9. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები ფოტოაპარატებითა და მასალებით.

10. გაზეთების—„სახალხო განათლება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მოლოდიოჟ გრუზიი“, „ნორჩი ლენინელი“, ჟურნალების—„პიონერი“, „სკოლა და ცხოვრება“, რადიო და ტელეკადაცემების საბავშვო რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ კონკურსის მიმდინარეობის საკითხები.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილებამ (ამხ. ზ. ლომიძე) კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ განათლების<br>მ ი ნ ი ს ტ რ ი<br>**თ. ლაშქარაშვილი** | საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ჯ. პატიაშვილი** |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 9 თებერვლის ბრძანება № 81

### განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალებების შესრულების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ განათლების ადგილობრივ ორგანოთა უმრავლესობა სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალებების შესრულების საქმეს (ბრძანებები, სადირექტივო წერილები და სხვ.). ისინი დროულად იხილავენ საკითხებს, ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს და შედეგების შესახებ დადგენილ ვადაში მოახსენებენ განათლების სამინისტროს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი. არის შემთხვევები, როდესაც განათლების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანო დროულად არ ახდენს სათანადო რეაგირებას განათლების სამინისტროს ბრძანებების, განკარგულებების შესასრულებლად, დიდი დაგვიანებით, ზოგჯერ კი რამდენიმეჯერ შეხსენების შემდეგ, აცნობებს განათლების სამინისტროს რა ღონისძიებები იქნა გატარებული დავალების შესასრულებლად ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1969 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით—„1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ“—განათლების ადგილობრივ ორგანოებს ევალებოდათ 1970 წლის 1-ლ ოქტომბრამდე შეეჯამებინათ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულე-

ბათა შესრულება და შედეგები წარმოედგინათ განათლების სამინისტროში.

განათლების სამინისტროს არ გამოუგზავნეს მასალები ბოგდანოვკის, დმანისის, კასპის, თეთრიწყაროსა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებებმა, ხოლო დიდი დაგვიანებით გამოგზავნეს მასალები წალენჯიხის, ტყიბულის (29 ოქტომბერი), ახალციხის, მესტიის, ბოლნისის (15 ოქტომბერი) და მარნეულის (12 ოქტომბერი) რაიონების განათლების განყოფილებებმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 20 თებერვლის ბრძანება „რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"—ავალებდა განათლების ადგილობრივ ორგანოებს 1970 წლის 30 დეკემბრამდე წარმოედგინათ განათლების სამინისტროში მოხსენებითი ბარათები ბრძანებაში დასახული ღონისძიებების შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მასალები არ წარმოუდგენიათ ახალციხის, ახალქალაქის, გეგეჭკორის, გარდაბნის, კასპის, თეთრიწყაროს, წულუკიძის, წალენჯიხის, მესტიის, მარნეულის, ორჯონიკიძის, წყალტუბოს რაიონების, ქ. ფოთისა და ქ. რუსთავის განათლების განყოფილებებს.

მიმდინარე წლის 1-ლი იანვრისათვის რუსთავის, ბოგდანოვკის, ლენტეხის, მესტიის, ორჯონიკიძის, თეთრიწყაროს და ჩოხატაურის რაიონებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ანგარიშები საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების მიერ 1969—1970 სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ, მასალები კი უნდა წარმოდგენილიყო 1970 წ. 1 სექტემბრისათვის.

განათლების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანო დიდი დაგვიანებით გზავნის სამინისტროში სხვადასხვა სტატისტიკურ მასალებს, ამასთან, არაიშვიათია შემთხვევები, როდესაც ეს მასალები ზერელედ და უხარისხოდ არის შედგენილი, მრავალ შეცდომებს შეიცავს, ხშირად აუცილებელი ხდება ამ ცნობების გადამუშავება, რის გამო ირღვევა სათანადო ორგანოებში მათი წარდგენის ვადები.

სტატისტიკური ფორმა 83 (ცნობები დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მუშაკების შესახებ) ნაცვლად დაწესებული ვადისა (5 ნოემბერი), ლენტეხისა და დმანისის რაიონებმა წარმოადგინეს 30 ნოემბერს, სტატისტიკური ფორმა დ-10 (ცნობები აღმზრდელების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების და სასკოლო

ბიბლიოთეკების შესახებ), სტატისტიკური ფორმა დ-8 (ცნობები უცხოური ენების სწავლების შესახებ), რომელთა წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 15 დეკემბერი, მესტიის რაიონის განათლების განყოფილებამ წარმოადგინა 1971 წლის 6 იანვარს. სისტემატურად არღვევენ სტატისტიკური ცნობების წარმოდგენის ვადებს აგრეთვე ადიგენის, ახალციხის, მაიაკოვსკის და წითელწყაროს რაონების განათლების განყოფილებები.

დიდი დაგვიანებით ღებულობს განათლების სამინისტრო აღნიშნულ მასალებს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროდან.

განათლების რიგ ადგილობრივ ორგანოს დღევანდლამდე არ წარმოუდგენია მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ცნობები იმ მასწავლებლების შესახებ, რომლებსაც პირველ რიგში ესაჭიროებათ. კვალიფიკაციის ამაღლება დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების საშუალებით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრები სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები:

2. მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ განათლების სამინისტროს დავალებების შესრულებას. საფუძვლიანად განიხილონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან მიღებული ბრძანებები, ცირკულარული წერილები, მითითებანი და სხვა მასალები. მიიღონ ზომები აღნიშნულ დოკუმენტებში დაყენებული საკითხების მაღალხარისხოვნად და დროულად შესრულებისათვის, აამაღლონ აპარატის მუშაკთა პასუხისმგებლობა ამ საქმეში;

ბ) დაწესებულ ვადაში აუცილებლად მოახსენონ განათლების სამინისტროს დავალებების შესრულების შესახებ, ამასთან, სათანადო ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რომ გამოგზავნილი მასალები შედგენილი იყოს საფუძვლიანად და შეიცავდეს ზუსტ და ამომწურავ ცნობებს.

2. განათლების სამინისტროს დავალებების დროულად შეუსრულებლობისა და უხარისხო მასალების წარმოდგენისათვის თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს დ. ბექაურს და მესტიის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ნ. გუჯეჯიანს გამოეცხადოთ საყვედური.

3. მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი ახალციხის, ბოგდანოვკის, დმანისის, კასპის, წულუკიძის, წალენჯიხის, მარნეულის, ორჯონიკიძის და ლენტეხის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები: დ. ახვლედიანი, ხ. თომასიანი, ა. მანსუროვი, ა. ბეჟანიშვილი, ს. ჭოლოკავა, ვ. ბელქანია, უ. გეიდაროვი, შ. ჩხიკვაძე, რ. შავრეშიანი, რათა მომავალში არ დაუშვან განათლების სამინისტროს დავალებების შეუსრულებლობის არც ერთი შემთხვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

5. განათლების სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსებმა სისტემატური კონტროლი დააწესონ განათლების ადგილობრივი ორგანოებისადმი და სამინისტროს დავალებების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში მომახსენონ სათანადო ზომების მისაღებად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 5 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ 12 თებერვლის ბრძანება № 95

### ვანის, ზუგდიდის, თელავის, ჩოხატაურისა და ხაშურის რაიონების სკოლებში შრომითი სწავლების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა ვანის, ზუგდიდის, თელავის, ჩოხატაურისა და ხაშურის რაიონების სკოლებში შრომითი სწავლების შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ რიგ სკოლებში ქმედითი ღონისძიებებია გატარებული შრომითი სწავლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სწავლებაში მისი გამოყენების მიზნით.

ადგილობრივი განათლების ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებათა და შეფი ორგანიზაციების დახმარების შედეგად შემოწმებული რაიონების 183 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან სასწავლო სახელოსნო ლითონების დამუშავებისათვის მოწყობილია 25, მერქნის დამუშავებისათვის—80, კომბინირებული (ლითონების და მერქნის დამუშავებისათვის)—80 და საყოფაცხოვრებო შრომისათვის—20 სკოლაში.

გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესდა სასწავლო სახელოსნოების მომარაგება დგამ-ავეჯით, დაზგებით, ჩარხებით, სამუშაო ხელსაწყო-იარაღებითა და მოსწავლეთა პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო მასალებით.

სკოლაში შრომითი სწავლებისათვის სასწავლო სახელოსნოების მოსაწყობად, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და სწავლების მაღალ დონეზე დასაყენებლად მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული თელავის რაიონის თელავის 1-ლ (დირექტორი დ. ბოჭორიძე, მასწავლებელი ვ. ბაქრაძე), თელავის რუსულ (დირექტორი ი. ქოჩლაძე, მასწავლებელი ა. ხიზანიშვილი), თელავის მე-3 (დირექტორი მ. კევლიშვილი, მასწავლებელი ი. ჯოხარიძე), ქვემოხოდაშენის (დირექტორი ა. ვაჭარიძე, მასწავლებე-

ლი ვ. ძულიაშვილი); ვანის რაიონის ვანის 1-ლ (დირექტორი მ. მესხი, მასწავლებელი ა. გიორგაძე), ამაღლების (დირექტორი რ. ძიგრაშვილი, მასწავლებლები ი. ბოჭორიშვილი, ი. ტყეშელაშვილი), შუამთის (დირექტორი ს. ფარცხალაძე, მასწავლებელი ვ. რამიშვილი); ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის (დირექტორი ა. კალანდაძე, მასწავლებელი გ. კვაჭანტირაძე), დაბლაციხის (დირექტორი გ. ბოცვაძე, მასწავლებელი გ. ხაბეიშვილი) საშუალო სკოლებში, სადაც სასწავლო სახელოსნოებისათვის გამოყოფილია საკმაო ფართობის სათავსოები და მოწყობილია მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები. სახელოსნოები აღჭურვილია ლითონისა და მერქნის დასამუშავებელი დაზგებით, ჩარხებით, სამუშაო იარაღებით და თვალსაჩინოებით, დანადგარები დამიწებულია, დაზგებზე დაყენებულია დამცავი ბადეები, ხოლო ჩარხებზე გარცმები, დაცულია დანადგარებს შორის ინსტრუქციით გათვალისწინებული გაბარიტული ზომები. მუშაობის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესები.

დამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტი თელავის 1-ლ (მასწავლებელი ლ. ციხისთავი), თელავის რუსულ (მასწავლებელი ე. გოეტე), თელავის მე-3 (მასწავლებელი ც. ოთარაშვილი), ქვემო ხოდაშენის (მასწავლებელი ნ. მეზვრიშვილი), ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის (მასწავლებელი რ. კალანდაძე) საშუალო სკოლებში.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული IX და X კლასებში შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების ჩასატარებლად საჭირო კაბინეტების მოსაწყობად. თელავის რუსულ საშუალო სკოლაში შექმნილია საჭირო პირობები მოსწავლეთა თეორიული მეცადინეობისა და პრაქტიკულ ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად ელექტროტექნიკაში. ჩოხატაურის რაიონის ერკეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი ტ. ჩხიკვიშვილი, მასწავლებელი ა. გორდელაძე) შემოღებულია საავტომობილო საქმის პრაქტიკუმი. სკოლაში ზეფი ორგანიზაციის დახმარებით მოწყობილია ავტოკაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ავტომანქანის ნაწილებით, კვანძებით, მოქმედი მოდელებითა და სტენდებით.

შესწავლილი რაიონების სკოლები უზრუნველყოფილია სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებით, რომლებიც მიზანშეწონილად

არის გამოყენებული მოსწავლეთა მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დასაკავშირებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის მასწავლებელთა ერთი ნაწილი წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად გულდასმით ემზადება მოსწავლეებთან პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის, სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას და სასურველ შედეგებსაც აღწევს მოსწავლეებში ტექნიკური აზროვნების, კონსტრუქტორული ნიჭის განვითარებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის საქმეში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ და შრომითი სწავლების პროცესში მოსწავლეთა პრაქტიკულ სამუშაოებს, ნაკვეთზე საცდელ მუშაობას საზოგადოებრივი სასარგებლო შრომის მიმართულებას აძლევენ მასწავლებლები: კ. დვალიშვილი (ვანის რაიონის ისრითის საშუალო სკოლა), შ. კენკიშვილი და ე. კოპეშაძე (თელავის რაიონის წინანდლის საშუალო სკოლა), ლ. ეგოროვი (თელავის რუსული საშუალო სკოლა), ზ. ჯაყელი (ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლა), შ. ბლიაძე (ხაშურის რაიონის სურამის მე-2 საშუალო სკოლა), ი. ხიდირბეგაშვილი (ხაშურის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა), ა. გიორგაძე (ვანის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. ბუბუტეიშვილი (ვანის რაიონის მუქეთის რვაწლიანი სკოლა), ი. ჟღენტი (ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლა), ლ. სართანია (ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლა) და სხვ.

დაბა ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლა სისტემატურად არის მონაწილე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ და დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით. ამ სკოლის VI კლასის მოსწავლემ ც. მჟავანაძემ და VIII კლასის მოსწავლემ თ. ახვლედიანმა კონკურსზე წარმოადგინეს სასწავლო-საცდელ ნაკვეთიდან მიღებული ბოსტნეული კულტურების საუკეთესო ექსპონატები, რისთვისაც ისინი დაჯილდოვდნენ მეორე ხარისხის დიპლომებით.

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელ ა. სართანიას ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა ნუშისა და ატმის შეჯვარებით მიიღეს საუკეთესო თვისების ჰიბრიდული ნაყოვი „საკომპოტე“.

მცხეთელთა ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურა ჩაისა და და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალი, რომელიც შეფობას უწევს

ამავე რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლას და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგური (დირექტორი ნ. სულხანიშვილი). სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მათ განიხილეს მცხეთელთა ინიციატივა და სპეციალური გეგმა შეიმუშავეს რუისპირისა და კურდღელაურის საშუალო სკოლებში სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მოწყობის, ვენახისა და ხეხილის ბაღების განახლების და ნაკვეთზე საცდელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ინსტიტუტის მუშაკებმა მოსწავლეებს წაუკითხეს ლექციები რაიონში გავრცელებულ სოფლის მეურნეობის მავნე მწერებსა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, შემოწმებული რაიონების სკოლების ნაწილში შრომითი სწავლებისათვის შექმნილი არაა მტკიცე მატერიალური ბაზა. განათლების განყოფილებისა და სკოლების ხელმძღვანელების მიერ ამ დარგში ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ არ პასუხობს იმ მოთხოვნებსა და ამოცანებს რომლებიც სადღეისოდ სკოლის წინაშეა დაყენებული.

რიგ სკოლებში, განსაკუთრებით რვაწლიან სკოლებში, არ არის გამოყოფილი სათავსოები სასწავლო სახელოსნოებისათვის ზოგან კი გამოყოფილი ოთახები შეუფერებელია შრომითი სწავლებისათვის. სასწავლო სახელოსნოები არ არის უზრუნველყოფილი დაზგებით, ჩარხებით, სამუშაო იარაღებითა და მასალებით.

ვანის რაიონის 32 საშუალო და რვაწლიან სკოლიდან ცალკე სახელოსნო ლითონების დამუშავებისათვის მოწყობილია 5-ში, მერქნის—17-ში, ზუგდიდის რაიონის 62 სკოლიდან ლითონების დამუშავებისათვის—3-ში, მერქნის—25-ში, ჩოხატაურის რაიონის 29 სკოლიდან ლითონების დამუშავებისათვის—1-ში, მერქნისა—14-ში. აღსანიშნავია ისიც, რომ ხაშურის რაიონის 3 საშუალო და 3 რვაწლიან, ზუგდიდის რაიონის 1 საშუალო და 6 რვაწლიან, ვანის რაიონის 3 საშუალო და 1 რვაწლიან, თელავის რაიონის 4 რვაწლიან სკოლაში არც ერთი სახის სასწავლო სახელოსნო არაა მოწყობილი.

ვანის რაიონის სულორის (დირექტორი შ. დვალიშვილი), სალხინოს (დირექტორი ნ. ლორთქიფანიძე), თელავის რაიონის აკურის (დირექტორი ქ. ჭურღულაშვილი, მასწავლებელი ა. ქევხიშვილი) და ჩოხატაურის რაიონის განახლების (დირექტორი ე. დოლიძე, მასწავლებელი დ. სიხარულიძე) საშუალო სკოლებში სა-

სწავლო სახელოსნოები მოთავსებულია შეუფერებელ ოთახებში, არ არის აღჭურვილი საკმაო რაოდენობის დაზგებით, ჩარხებით, მასალებით, მოუწყობელია მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები.

სასწავლო სახელოსნოები ძირითადად მარაგდება ერთგვაროვანი მასალებით, ელექტროტექნიკური და საყოფაცხოვრებო შრომის პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად კი სკოლები საერთოდ არ ღებულობენ საჭირო მოწყობილობას და მასალებს.

შესწავლილი სკოლების ნაწილში სასწავლო საცდელი ნაკვეთები დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული. ნაკვეთები არ არის მოწყობილი ცდა-დაკვირვების საწარმოებლად. არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები სანიმუშო თემატიკის მიხედვით. მოწესრიგებული არ არის ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა.

ვანის რაიონის თითქმის ყველა საშუალო სკოლის IX—X კლასებში მევენახეობის პრაქტიკუმს აგრონომები ასწავლიან. ამავე დროს ისინი სასწავლო საცდელი ნაკვეთების გამგეებად ითვლებიან, მაგრამ ნაკვეთები თავმინებებულია (შუამთის საშუალო სკოლა). ნაკვეთის გამგეები და ბიოლოგიის მასწავლებლები არ ეწევიან ერთობლივ მუშაობას სასწავლო საცდელი ნაკვეთის დანიშნულებით გამოყენებისათვის. ზოგიერთ სკოლაში შრომით სწავლებას ხელმძღვანელობენ არასპეციალისტები, რომელთა ტექნიკური განათლება დაბალია. ამასთან ისინი სუსტად ემზადებიან ყოველდღიური მუშაობისათვის, დაბალ აკადემიურ დონეზე ატარებენ თეორიულ მეცადინეობას და სუსტად ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა პრაქტიკულ სამუშაოებს.

ჩოხატაურის რაიონის განახლების საშუალო სკოლაში შრომითი სწავლების მასწავლებლად მუშაობს არასპეციალისტი დ. სიხარულიძე, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. მან V კლასში სრულიად მოუმზადებლად, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე მოახდინა ახალი მასალის ახსნა. მასწავლებელს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სასწავლო სახელოსნოების მოწყობილობაზე. ასეთივე მდგომარეობაა თელავის რაიონის აკურის საშუალო სკოლაში, სადაც შრომას ასწავლიან ისტორიკოსი თ. ნაპირელი და აგრონომი ა. ქევხიშვილი.

შრომითი სწავლების, მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საქმეში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ სკოლებში სუსტადაა დაყენებული შიდა სასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა.

შემოწმებული რაიონების სკოლების დირექტორების უმრავლესობა სერიოზული ყურადღებით არ ეკიდება მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეს. არ იღებს ზომებს საჭირო სასწავლო მატერიალური ბაზის შესაქმნელად, სუსტად მუშაობს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის, არ აცნობს მათ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ყველაზე უფრო გავრცელებულ პროფესიებს.

შესწავლილი რაიონების განათლების განყოფილების გამგეები კმაყოფილდებიან სკოლებისადმი მხოლოდ ზოგადი მითითებების მიცემით და საჭირო კონტროლს არ აწესებენ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მოწესრიგებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და სადირექტივო წერილების შესრულების საქმეზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გაითვალისწინონ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად:

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ შრომითი სწავლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. იზრუნონ სასწავლო სახელოსნოების, საყოფაცხოვრებო შრომისა და შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების კაბინეტების მანქანა-დანადგარებით, სამუშაო იარაღებით შევსების, კეთილმოწყობისა და სასწავლო მუშაობაში მათი გამოყენებისათვის;

გ) სასწავლო წლის დამთავრებამდე შეისწავლონ შრომითი სწავლების მასწავლებელთა მუშაობა, არასპეციალისტ და სუსტად მომუშავე მასწავლებლებზე, არსებული წესის დაცვით, გაატარონ საჭირო ორგანიზებული ღონისძიებები;

დ) გაითვალისწინონ საინიციატივო მშენებლობის ხაზით, სასწავლო სახელოსნოებისათვის სათავსოების მიშენება, დაშენება ან ცალკე შენობის აგება იმ საშუალო და რვაწლიანი სკოლებისათვის, რომლებსაც ასეთი არ გააჩნია;

ე) ფართოდ გაშალონ მუშაობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით, ჩააბან ამ საქმიანობაში პროფკავშირული, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დაწესებულებათა მოყინავე მუშაკები;

ვ) შრომითი სწავლების მასწავლებლად შეარჩიონ სათანადო ტექნიკური განათლებისა და პედაგოგიური გამოცდილების მქონე მუშაკები;

2. საშუალო და რვაწლიანი სკოლების დირექტორებმა:

ა) მიიღონ ზომები სასწავლო სახელოსნოებისა და კაბინეტებისათვის შესაფერისი სათავსოების გამოსაყოფად; უზრუნველყონ ეს სახელოსნოები, კაბინეტები და საცდელი მიწის ნაკვეთები აუცილებელი მანქანა-დანადგარებით, დაზგებით, ჩარხებით და სამუშაო იარაღებით; სისტემატურად შეავსონ სახელოსნოები და კაბინეტები ხელსაწყოებით, სასწავლო პლაკატებით, სქემებით, ტექნიკური ლიტერატურითა და მასალებით;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი შრომითი სწავლების მასწავლებელთა მუშაობაზე, დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა სასწავლო სახელოსნოებისა და კაბინეტების მოწყობილობის მოვლა-დაცვაზე;

გ) უზრუნველყონ სკოლები შესაფერისი სასოფლო სამეურნეო ინვენტარით, მინერალური სასუქებითა და შხამ-ქიმიკატებით; მიაღწიონ სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე გათვალისწინებული ცდა-დაკვირვების მთელი კომპლექსის შესრულებას.

3. შრომითი სწავლების მასწავლებლებმა:

ა) სისტემატურად იზრუნონ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საფუძვლიანად ემზადონ მოსწავლეებთან პრაქტიკული სამუშაოების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლებაში თვალსაჩინოება, მიაღწიონ მოსწავლეებში შემოქმედებითი ტექნიკური აზროვნებისა და კონსტრუქტორული უნარის, ჩვევების გამომუშავებას, მისცენ მათ ცხოვრებისათვის აუცილებელი ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შრომის პირველდაწყებითი ცოდნა;

ბ) სრულ წესრიგში იქონიონ სასწავლო სახელოსნოები, იზრუნონ მათი შევსებისათვის, ზუსტად დაიცვან სახელოსნოების, დაზგების, ჩარხებისა და ხელსაწყოების მოვლა-შენახვის წესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კონსტრუირებას, მოსწავლეთა შემოქმედებით შრომას, უზრუნველყონ სახელოსნოებში ისეთი ნაკეთობების დამზადება, რომლებიც გამოყენებული იქნება სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების შესავსებად;

გ) მეცადინეობის პროცესში ფართოდ გამოიყენონ ნაკეთობათა ნახაზები და მათი დამუშავებისა და აწყობის ტექნოლოგიური რუკები; უზრუნველყონ სკოლაში ტექნიკური და ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება, მოაწყონ მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრების მუდმივი გამოფენა;

დ) მიაღწიონ სასწავლო-საცდელი ნაკვეთის მაქსიმალურად გამოყენებას სწავლებაში; იმგვარად მოაწყონ ნაკვეთი (სათბურებით, კვალსათბურებით, რომ წლის ყოველ დროს შესაძლებელი იყოს მასზე პრაქტიკული მუშაობის ჩატარება; განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ ნაკვეთზე ცდა-დაკვირვების წარმოებას და მიღებული დადებითი შედეგების განზოგადებას;

ე) მტკიცე კავშირი დაამყარონ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან; პერიოდულად მოაწყონ შეხვედრები სახალხო მეურნეობების სპეციალისტებთან და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან;

ვ) განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ მებოცვრეობისა და მეფუტკრეობის, როგორც დიდი სამეურნეო მნიშვნელობის დარგების დანერგვას და მოსწავლეებს საფუძვლიანად შეასწავლონ ბოცვრისა და და ფუტკრის მოვლა-პატრონობა;

ზ) მუშაობის პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ სასწავლო-საცდელი ნაკვეთიდან აღებული საუკეთესო ექსპონატებით ბიოლოგიის კაბინეტის შევსება;

თ) აღმოფხვრან ფორმალიზმი შრომით სწავლებაში, მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეების მიერ პრაქტიკული სამუშაოების დამოუკიდებლად შესრულებას, შეფასების დროს გაითვალისწინონ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირების უნარი.

4. გაზეთ „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებამ“ პერიოდულად გააშუქონ სკოლებში შრომითი სწავლებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ამსახველი მასალები.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 19 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა

19 თებერვალი, 1971 წელი

კოლეგია აღნიშნავს, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სკოლამდელ მუშაკთა ზონალურ თათბირ-სემინარებმა, რომლებიც ჩატარდა ქ. ქ. ბათუმში, თბილისსა და ქუთაისში ხელი შეუწყვეს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მორალური, ესთეტიკური აღზრდისა და მშობლებთან მუშაობის გაუმჯობესების საქმეს, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. წულუკიძემ, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. თ. ეგაძემ და ი. გენძეხაძემ დიდი მუშაობა გასწიეს თათბირ-სემინარების მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარებისათვის. მათ ყველა პირობა შეუქმნეს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სკოლამდელ მუშაკებს, რათა ღრმად გაცნობოდნენ და ჩასწვდომოდნენ სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობას და გაეზიარებიათ მუშაობის გამოცდილება.

თათბირ-სემინარებზე წაკითხულ მოხსენებათა უმრავლესობა პრაქტიკოს მუშაკთა გამოცდილებას შეეხებოდა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია იწონებს ქ. ქ. ბათუმში, თბილისსა და ქუთაისში ჩატარებულ სკოლამდელ მუშაკთა ზონალური თათბირ-სემინარების შედეგებს და რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მეთოდური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა სკოლამდელ დაწესებულებათა მეთოდური მუშაობისადმი;

ბ) მეთოდური მუშაობის ამაღლების მიზნით სისტემატურად შეისწავლონ სკოლამდელ მუშაკთა გამოცდილება და დანერგონ იგი პრაქტიკაში.

2. რაიონების (ქალაქების) სკოლამდელი აღზრდის მეთოდურმა კაბინეტებმა და მეთოდისტებმა გააძლიერონ დახმარება და ხელმძღვანელობა სარაიონო (საქალაქო) მეთოდგაერთიანების მუშაობაზე.

3. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე):

ა) სათანადო დახმარება გაუწიოს სკოლამდელ მუშაკებს მეთოდური დახელოვნებისა და ამაღლების საქმეში;

ბ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის კაბინეტთან ერთად (ამხ. ე. ხუხუნი) ერთი თვის ვადაში მოამზადოს მეთოდური რეკომენდაციები ერთკომპლექტიანი და საკოლმეურნეო-სეზონური საბავშვო ბაღების მუშაობის შესახებ და წარმოადგინოს განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ თათბირ-სემინარების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის სკოლამდელ მუშაკთა ერთი ჯგუფი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო-დაწესებულებათა რესპუბლიკური კომიტეტის „საპატიო სიგელით" და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული".

5. სკოლამდელ მუშაკთა ზონალურ თათბირ-სემინარების მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარებისათვის აჭარის ასსრ განათლების მინისტრს ამხ. ვ. წულუკიძეს, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. თ. ეგაძესა და ი. გენძეხაძეს გამოეცხადოთ მადლობა.

6. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან ერთად (ამხ. ნ. კაკაურიძე), ქ. ქ. სოხუმში, გორსა და თელავში 1971 წელში მოამზადოს და ჩაატაროს რესპუბლიკის სკოლამდელ მუშაკთა ზო-

ნალური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და თათბირ-სემინარები, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი.

7. აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ა. ჯონუამ, ქ. ქ. თელავისა და გორის განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. ა. ნადაშვილმა და ვ. ზექალაშვილმა მიიღონ ყველა ზომა თათბირ-სემინარების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსის გ. აბდუშელიშვილის მოხსენებითი ბარათი ქ. ქ. ბათუმში, თბილისსა და ქუთაისში ჩატარებული სკოლამდელ მუშაკთა ზონალური თათბირ-სემინარების შედეგების შესახებ დაეგზავნოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს (თან ერთვის).

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

### ამავე სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსის გ. აბდუშელიშვილის

## მოხსენებითი ბარათი

### ქ. ქ. ბათუმში, თბილისსა და ქუთაისში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის სკოლამდელ მუშაკთა ზონალური თათბირ-სემინარების შედეგების შესახებ

მოგახსენებთ, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა ქ. ქ. ბათუმში, თბილისსა და ქუთაისში სკოლამდელ მუშაკთა ზონალური თათბირ-სემინარები.

თათბირ-სემინარები მიზნად ისახავდნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ძორალური, ესთეტიკური აღზრდისა და მშობლებთან მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. ქ. ქ. ბათუმში, თბილისსა და ქუთაისში პირველად შეიკრიბნენ მეცნიერები, ფსიქოლოგები, სამედიცინო დარგის მუშაკები, სკოლამდელი აღზრდის ვეტერანები, პრაქტიკული მუშაკები და აღსაზრდელთა მშობლები, რათა ერთობლივად ემსჯელათ სკოლამდელი აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

თათბირ-სემინარები ვრცელი სიტყვით გახსნეს აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ვ. წულუკიძემ, თბილისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. თ. ეგაძემ და ქუთაისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ი. გენძეხაძემ.

ქ. თბილისის პირველი საბავშვო ბაღის მშობელთა კომიტეტის თავჯდომარემ დოც. ლ. ციხისელმა აღნიშნა ბავშვის აღზრდის საქმეში მშობლის ავტორიტეტის მნიშვნელობის შესახებ,

დოც. კ. კრავეიშვილმა—მშობელთა პედაგოგიზაციის აუცილებლობაზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა თავისებურებების შესახებ ილაპარაკა ფსიქოლოგმა, დოც. ი. კოტეტიშვილმა (თბილისი), ლენინი მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის შესახებ—დოც. გრ. ბაბილოძემ (ბათუმის პედინსტიტუტი), ამავე საკითხზე მოხსენება წაიკითხა დოც. გაბრიაძემ (ქუთაისის პედინსტიტუტი) ოჯახის როლი ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში—ექიმმა ნ. კონტრიძემ, სკოლამდელი ასაკში ზნეობრივი აღზრდის ზოგიერთი საკითხი—ნ. შუბლაძემ (სკოლამდელი აღზრდის ვეტერანი) და სხვებმა.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებს შეეხო მხატვარი ნ. ოქროპირიძე, მან ილაპარაკა ბავშვის შემოქმედების განვითარებისათვის ბუნებრივი მასალების გამოყენებაზე, გოგებაშვილის სახ. პედმეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. კარჭაულმა ბავშვის ასაკობრივი განვითარების ფონზე გააშუქა აღსაზრდელთა დამოკიდებულების პრობლემა ხელოვნებასთან, რეალურ სინამდვილესთან, ხოლო ქუთაისის 23-ე საბავშვო ბაღის აღმზრდელმა თ. მაღლაქველიძემ დამსწრეთ გააცნო იმ ხერხებზე და ფორმებზე, რომლებსაც იგი აწვდის ბავშვებს სახვითი შემოქმედების განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნული ქალაქების სკოლამდელმა მუშაკებმა თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს მეზობელი რაიონების სკოლამდელებს, აქ თვალნათლივ გამოიკვეთა თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის, პედაგოგიური ინსტიტუტების სკოლამდელ დაწესებულებებთან ურთიერთ კონტაქტის დამყარების აუცილებლობა.

სულ წაკითხული იყო, როგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული ხასიათის 42 მოხსენება.

უნდა მოგახსენოთ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარების შესახებ სკოლამდელი დაწესებულებებისადმი თათბირ-სემინარების ორგანიზებულად და შინაარსიანად ჩატარების საქმეში.

აჭარის ასსრ პროფსაბჭომ თავისი სახსრებით საინტერესო, მოკლემეტრაჟიანი კინოსურათი—„ერთი დღე საბავშვო ბაღში“ გადაუღო ქ. ბათუმის 28-ე საბავშვო ბაღს, სადაც აისახა საბავშვო ბაღის ერთი დღის საქმიანობა.

ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით სკოლამდელი აღზრდის აქტუალურ საკითხებზე მომზადდა და გამოიცა ბუკლეტები ქ. ქუთაისის პირველი ბაგა ბაღის, 27-ე და მაუდის ფაბრიკის საბავშვო ბაღების მუშაობის გამოცდილებიდან.

მოეწყო აღმზრდელთა და ბავშვების ნამუშევრების გამოფენა, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალის ვრცელ ფოიეში აღსაზრდელებმა მოლბერტებზე ცოცხალ ფერებში (თათბირ-სემინარის მონაწილეთა თანდასწრებით) დახატეს გაზაფხულის ბუნება, შრომა საქმიანობის ამსახველი სურათები, ზღაპრების პერსონაჟები. საგამოფენო სტენდებზე წარმოდგენილი იყო აღსაზრდელთა მიერ შესრულებული ნახატები, აპლიკაციური ნაკეთობანი. იგი ყურადღებას იპყრობდა თემატიკური მრავალფეროვნებით.

ცალკეული სტენდები დათმობილი ჰქონდა აჭარის ასსრ, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის განვითარებასა და ბავშვთა კონტინგენტის ზრდას 1921 წლიდან 1970 წლამდე, ფოტოსურათებში წარმოდგენილი იყო სკოლამდელ დაწესებულებათა შენობების ინტერიერი, მათი საქმიანობის ამსახველი ცალკეული მომენტები.

თათბირ-სემინარების თეორიული ნაწილის დამთავრების შემდეგ, მათი მონაწილენი პრაქტიკულად გაეცნენ სკოლამდელ დაწესებულებებში მეცადინეობათა ჩატარების მეთოდიკას მშობლიურ ენაში, თვლა-ანგარიშში, სახვით საქმიანობაში და ურთიერთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილებები. ისინი უკეთ გაერკვნენ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის საკითხებში, მათ თვალნათლივ დაინახეს და მოისმინეს თუ ბავშვთა აღზრდისათვის როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრების მაგალითები, როგორ ჩაუნერგონ მათ შრომისმოყვარეობის, პატიოსნების, ჰუმანიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ნათელი გრძნობები.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო იმართებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ნ. კეპულაძემ, ნ. კალანდარიშვილმა (თბილისი), ელ. ხუხუნმა (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი), ო. სილაგაძემ (აფხაზეთი), მ. მამაიაშვილმა (აჭარა), ნ. ოსტაევამ (სამხრეთ ოსეთი), გ. ახვლედიანმა (ქუთაისი), მ. ჩინჩალაძემ (გორი), ქ. ჩიკვაიძემ (ლაგოდეხი), გ. სახეჩიძემ (ჭიათურა) და სხვებმა. ისინი ხაზგასმით აღნიშნავ-

დნენ ჩატარებულ ღონისძიებათა მნიშვნელობისა და სარგებლობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა დიდად შეუწყეს ხელი სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებას, მათში მორალური, ესთეტიკური აღზრდისა და მშობლებთან მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას.

განმტკიცდა და გაფართოვდა ქ. ქ. თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზა. შენობებს გაუკეთდა კაპიტალური და მიმდინარე რემონტები, შეივსო დგამ-ავეჯითა და სასწავლო ნივთებით, კეთილმოეწყო ეზოები.

თათბირ-სემინარების მაღალ დონეზე ჩატარება განპირობებულია იმითაც, რომ აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორებმა და მეთოდისტებმა დიდი მუშაობა გასწიეს თათბირ-სემინარების მაღალ დონეზე ჩასატარებლად, ხოლო სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის და პედმეცნიერებათა ინსტიტუტის მუშაკები ადგილებზე სისტემატურ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევდნენ მათ თათბირ-სემინარების მომზადებაჩატარებაში.

აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ვ. წულუკიძემ, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. თ. ეგაძემ და ი. გენძეხაძემ) დიდი დაინტერესება გამოიჩინეს ამ საქმისადმი. მათ ყველა პირობა შექმნეს თათბირ-სემინარების მომზადებულად და ორგანიზებულად ჩატარებისათვის, საშუალება მისცეს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს ღრმად გაცნობოდნენ და გაეზიარებინათ მათი მუშაობის გამოცდილება.

ქ. ქუთაისში თათბირ-სემინარზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. უშ. ობოლაძემ, მან მაღალი შეფასება მისცა თათბირ-სემინარის მუშაობას, როგორც მეთოდური ასევე პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისით.

ქ. ქ. თბილისსა და ბათუმში თათბირ-სემინარების მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსმა გ. აბდუშელიშვილმა, ხოლო ქ. ქუთაისში—სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის გამგემ ნ. კაკაურიძემ.

დასასრულს უნდა მოგახსენოთ, რომ თათბირ-სემინარები ორგანიზებულად, საინტერესოდ და საქმიანად ჩატარდა. ლოგიკური ძიებათა ამდაგვარად ჩატარება ჩვენი მუშაობის სიახლეა და საჭირო იქნება სხვა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებმაც იზრუნონ სკოლამდელ მუშაკთა მეთოდური დახელოვნებისა და დაოსტატებისათვის.

სკოლამდელი აღზრდის განყოფილების
უფროსი **გ. აბდუშელიშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 23 თებერვლის ბრძანება № 124

### საქართველოს სსრ გორის რაიონის სოფელ კარალეთის საღამოს საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის ი. ნონიკაშვილის შესახებ

განათლების სამინისტროში შემოსულ მამხილებელ წერილში აღნიშნული ფაქტების შემოწმებით დადგინდა, რომ სოფ. კარალეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ყოფილმა დირექტორმა ი. ნონიკაშვილმა (ამჟამად სოფელ ბნავისის 8-წლიანი სკოლის დირექტორი) ჩაიდინა სიყალბე, რაც შემდეგში გამოიხატა:

მოქალაქე ც. ს. ბაზანდარაშვილის სახელზე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოქალაქე გამოსაშვებ გამოცდებზე არ გამოცხადდა გათხოვების გამო, გამოიწერა 8 კლასის დამთავრების მოწმობა ა-№ 515057 და გასცა იგი თავის დეიდაზე –მოქ. თ. გოგაძეზე, რომელსაც კარალეთის საღამოს სკოლაში არ უსწავლია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გორის რაიონის სოფ. ბნავისის 8-წლიანი სკოლის დირექტორი იოსებ შალვას ძე ნონიკაშვილი სიყალბის ჩადენისათვის მოიხსნას თანამდებობიდან.

2. რვაწლიანი განათლების მოწმობა ა-№ 515057, რომელიც უკანონოდ გაიცა მოქ. თინა გიორგის ასულ გოგაძეზე, გაუქმდეს.

3. გორის რაიონის განათლების განყოფილებამ (ა. ჩხეიძე) სათანადო წესის დაცვით გამოითხოვოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან ერთი ცალი რვაწლიანი განათლების მოწმობა ციალა სანდროს ასულ ბაზანდარაშვილზე გასაცემად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოსს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 25 თებერვლის ბრძანება № 136

### საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დებულების შესახებ

ვაქვეყნებთ სსრ კავშირის განათლების მინისტრის მ. ა. პროკოფიევის მიერ 1971 წლის 5 იანვარს დამტკიცებულ დებულებას საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის

შ ე ს ა ხ ე ბ

საღამოს (ცვლის) სკოლა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წესდებით.

ამ დებულებაში ასახულია მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა[1]
## საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესახებ

### 1. სკოლის ორგანიზაციის წესი და სტრუქტურა

საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობს მომუშავე ახალგაზრდობა.

---

1. ამ დებულების გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება 1960 წლის 20 მაისს დამტკიცებული „დებულება საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესახებ“ და „დებულებები დაუსწრებელი სკოლებისა და მათი განყოფილებების შესახებ“.

საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას შეიძლება ჰქონდეს სწავლების დასწრებული და დაუსწრებელი ფორმები ანდა ერთ-ერთი ამ ფორმათაგანი.

2. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა დასწრებული და დაუსწრებელი ანდა მხოლოდ დასწრებული სწავლების ფორმით იხსნება ქალაქებსა და მუშათა დაბებში არანაკლები 100, ხოლო სოფელ ადგილებში—არანაკლები 80 მოსწავლისათვის.

მოსწავლეთა ნაკლები რაოდენობის დროს ნებადართულია ცალკეული კლასების გახსნა. ამ კლასებისადმი მეთოდურ და სამეურნეო ხელმძღვანელობას ახორციელებს საღამოს (ცვლის) ანდა მასობრივი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან.

3. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელი სკოლა შეიძლება იყოს სარაიონო, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური.

დაუსწრებელი სწავლების სარაიონო და საქალაქო საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იხსნება არანაკლები 300 მოსწავლისათვის, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური—არანაკლები 600 მოსწავლისათვის.

დაუსწრებელი სწავლების საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას თავის შემადგენლობაში შეიძლება ჰქონდეს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები, საკონსულტაციო ჯგუფები და ჰყავდეს ინდივიდუალურად მოსწავლე მედაუსწრებლეები.

სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი ქალაქებსა და მუშათა დაბებში იხსნება არანაკლები 60 მოსწავლისათვის, სოფელ ადგილებში, მცურავ ბაზებზე, ფლოტილიებსა და ხომალდებზე არანაკლები 30 მოსწავლისათვის.

საკონსულტაციო ჯგუფების მოსწავლეთა რაოდენობა მინიმალური 9 კაცია.

5. მედაუსწრებლეები, რომელთაც არა აქვთ საშუალება თავიანთ სკოლაში დაესწრონ მეცადინეობებს და ჩააბარონ ზეპირი ჩათვლები, წერითი და ზეპირი კონსულტაციების მისაღებად, ლაბორატორიული, პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად და ჩათვლების ჩასაბარებლად შეიძლება მიემაგრონ საცხოვრებელ და სამუშაო ადგილთან უახლოეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას.

6. საზღვაო და თევზსაჭერ ფლოტში მომუშავე მედაუსწრებლეებისათვის კონსულტაციების ჩასატარებლად და ჩათვლების მისაღებად დაუსწრებელი სწავლების სკოლები მასწავლებლებს მიავლინებენ ხომალდების თავმოყრის ადგილას ან ცალკეულ ხომალდებზე. მასწავლებლები ატარებენ კონსულტაციებს და იღებენ მოსწავლეებისაგან ჩათვლებს, იმისდა მიუხედავად, თუ ეს მოსწავლეები რომელ სკოლაში სწავლობენ.

7. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემადგენლობაში შეიძლება დამატებით შეიქმნას:

—კლასები: ოსტატებისა და მაღალკვალიფიციური, დიდი საწარმოო სტაჟის მქონე მუშებისათვის და ოსტატ-პრაქტიკოსებისა, რვაწლიანი სკოლის ფარგლებში განათლების მქონეთათვის.

—სოფელ ადგილებში V—XI კლასები საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებით.

—პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებით დაკომპლექტებული კლასები.

8. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასების დატვირთვას განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

## 2. სკოლა და წარმოება

9. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოსწავლეთა შემადგენლობას აკომპლექტებს იმ პირებისაგან, რომლებიც განსაზღვრულ რაიონში ცხოვრობენ ანდა მუშაობენ იმ საწარმოებში, რომლებიც შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მიერ მიმაგრებულნი არიან ამ სკოლაზე.

10. საწარმოები, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 30 აპრილის № 9492 განკარგულებით, უსასყიდლოდ აძლევენ მათთან ჩამოყალიბებულ სკოლებს შენობას, უზრუნველყოფენ სამეურნეო მომსახურებით (ელექტროენერგია, სათბობი, რემონტი), აუცილებელი სასწავლო და სამეურნეო მოწყობილობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების“ შესაბამისად, საწარმოებს, რომლებთანაც შექმნილი არ არის სკოლები, შეუძლიათ უსასყიდლოდ დაუთმონ შენობა, უზრუნველყონ სამეურნეო მომსახურებით, სა-

სწავლო და სამეურნეო მოწყობილობით ის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებშიც მათი თანამშრომლები სწავლობენ.

11. სკოლების დირექტორები და მასწავლებლები საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან, ხომალდების მეთაურებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებებს სახავენ მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად: იმუშავებენ მშრომელთა განათლების ამაღლების პერსპექტიულ გეგმებს, განსაზღვრავენ მოსწავლეთა კონტინგენტს, ატარებენ საჭირო განმარტებით მუშაობას.

12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 დადგენილების შესაბამისად, საწარმოთა ხელმძღვანელები მოვალენი არიან იმ პირებს, რომლებიც წარმატებით სწავლობენ სკოლებში, შეუქმნან აუცილებელი პირობები სწავლასთან მუშაობის შესათავსებლად, მისცენ მათ უპირატესობა უფრო კვალიფიციურ სამუშაოზე გადაყვანისას.

## 3. მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ი

13. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მიიღებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში, განცხადების, განათლების საბუთის, სამუშაო ადგილიდან ცნობისა და, როგორც წესი, საწარმოს ან დაწესებულებების მიმართვის საფუძველზე.

14. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემსვლელი პირებისაგან განცხადებების მიღება და მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს:

—36-კვირიანი სასწავლო წლის ხანგრძლივობის სკოლაში—15 მაისიდან 30 აგვისტომდე.

—28 კვირიანი სასწავლო წლის ხანგრძლივობის სკოლაში—15 მაისიდან 30 სექტემბრამდე.

—მეზღვაურთა და მეთევზეთა დაუსწრებელი სწავლების სკოლებში სანაოსნო შემადგენლობიდან მოსწავლეთა მიღება სწარმოებს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

მოზარდები, რომელთაც 16 წელი არ შესრულებიათ, საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—VIII

კლასებში მიიღებიან, როგორც გამონაკლისი, მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების სარაიონო (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წარგზავნით.

ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო, საშუალო სპეციალური სასწავლებლები, ან კიდევ სწავლობენ იქ, საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არ მიიღებიან.

15. აკრძალულია სასწავლო წელში არასაპატიო მიზეზით ერთი სკოლიდან მეორეში მოსწავლეთა გადასვლა.

16. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, წესდება შემოკლებული სამუშაო დღე, ხელფასის შენარჩუნებით (არსებული წესით).

17. მოსწავლეები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით აცდენენ მეცადინეობას, დაუდევრად ეკიდებიან სწავლას, გაირიცხებიან სკოლიდან დირექტორის ბრძანებით იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიიღო პედაგოგიურმა საბჭომ შესაბამისი საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციის (საზოგადოებრივი ორგანიზაციების) წარმომადგენელთა მონაწილეობით.

## 4. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა

18. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ტარდება დამტკიცებული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით, დადგენილი წესის შესაბამისად.

19. საღამოს სკოლის ოსტატთა კლასებში (გაძლიერებული კვალიფიკაციის კლასებში სოფლად) სპეციალური საგნების პროგრამებს ამტკიცებენ სათანადო სამინისტროები და უწყებანი.

20. სასწავლო წელი საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ორ ნახევარ წლად იყოფა.

36-კვირიანი ხანგრძლივობის სასწავლო წლის მეცადინეობა იწყება 1-ელ სექტემბერს, 28 კვირიანისა—1-ელ ოქტომბერს.

მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროებს უფლება აქვთ შეცვალონ სასწავლო წლის

დაწყებისა და დამთავრების ვადები მოსწავლეთა მუშაობის სეზონური პირობების მიხედვით, მაგრამ ისე, რომ აუცილებლად შენარჩუნებულ იქნეს სასწავლო გეგმით დადგენილი სასწავლო კვირეებისა და საათების რაოდენობა.

21. საღამოს სკოლაში სასწავლო მუშაობის ძირითადი ფორმებია: გაკვეთილი, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია, ჩათვლები.

22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 5 ნოემბრის № 1233 და 1962 წლის 27 ივლისის № 773 დადგენილებათა შესაბამისად, მოსწავლეებს გამოსაშვები გამოცდების პერიოდში ეძლევათ დამატებითი შვებულება: XI კლასში 20 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, VIII კლასში—8 სამუშაო დღისა, ძირითად სამუშაო ადგილას ხელფასის შენარჩუნებით სატარიფო განაკვეთისა ან ხელფასის ანგარიშიდან.

გადასაყვანი გამოცდების ჩასაბარებლად მოსწავლეები თავისუფლდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 8 დეკემბრის № 299 დადგენილების მიერ განსაზღვრული წესით.

23. მოსწავლეებს, რომლებიც წარმატებით დაამთავრებენ ოსტატობა კლასებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 3 აგვისტოს № 646 დადგენილებით, საშუალო განათლების ატესტატს გარდა საწარმოები აძლევენ სათანადო მოწმობას.

## 5. სკოლის ხელმძღვანელობა და მასწავლებლები

24. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორთა, მათი მოადგილეების, მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელთა და სხვა მუშაკთა უფლებები და მოვალეობანი განსაზღვრულია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით.

25. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური საბჭო იმ ამოცანებთან ერთად, რომლებიც განსაზღვრულია „პედაგოგიური საბჭოს დებულებით“, განიხილავს სკოლისა და წარმოების ერთობლივი საქმიანობის გეგმას მოსწავლეთა განათლებისა და აღზრდისათვის.

26. სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეებს და რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეთოდის-

ტებს შესაბამისად ნიშნავენ სახალხო განათლების რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო განყოფილებანი, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროები, უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე გამოცდილი მასწავლებლებისაგან.

სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე სკოლაში აბამს მომუშავე ახალგაზრდობას. აკომპლექტებს სასწავლო ჯგუფებს, აორგანიზებს, აკონტროლებს და ითვალისწინებს მასწავლებელთა მუშაობას.

მეთოდისტი დახმარებას უწევს მასწავლებლებს და სასწავლო საკონსულტაციო პუნქტებს, აორგანიზებს, აკონტროლებს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას.

27. სასწავლო საკონსულტაციო პუნქტში პერიოდულად იმართება პედაგოგიური თათბირები მასწავლებელთა, საწარმოთა, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფლოტილიისა და გემების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

პედაგოგიურ თათბირებზე განიხილება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმები და მათი შესრულების მიმდინარეობა, ხდება მასწავლებელთა ანგარიშების მოსმენა პროგრამების შესრულებასა და აკადემიური წარმატების მდგომარეობაზე. სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე დასამტკიცებლად განიხილება კლასიდან კლასში მოსწავლეთა გადაყვანის, გამოცდებზე დაშვებისა და სხვა საკითხები.

## 6. სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა, დაფინანსება და ანგარიშგება

28. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანათლებლო სკოლა, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, დასწრებული სწავლების ცალკეული კლასები და მედაუსწრებელთა ჯგუფები, რომლებიც მოთავსებულია მასობრივი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობაში, სარგებლობენ მათი სასწავლო მოწყობილობით, კაბინეტებითა და სხვა შენობებით.

საღამოს სკოლის ის კლასები, რომლებიც დაკომპლექტებულია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთაგან, ამ სასწავლებლების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, შეიძლება მოთავსდეს სასწავლებლის შენობაში და სარგებლობდეს მათი სასასწავლო მოწყობილობით.

29. რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სკოლების, აგრეთვე იმ სკოლების ხარჯთაღრიცხვებში, რომლებიც მეზღვაურებსა და მეთევზეებს ემსახურებიან, გათვალისწინებულია სახსრები სკოლის მუშაკთა მისავლინებლად სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში, გემებსა და მათი თავმოყრის ადგილებში.

30. საღამოს სკოლების ოსტატთა კლასების სპეციალური საგნების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 3 აგვისტოს № 646 დადგენილების შესაბამისად ხდება საწარმოთა სახსრების ხარჯზე.

31. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს ბეჭედი სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, სკოლის დაქვემდებარების მიხედვით, და სახელწოდება".

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უპირველეს ყოვლისა, ფართოდ გააცნონ საღამოს სკოლებს, მათ მუშაკებს, წარმოება-დაწესებულებათა სათანადო დაინტერესებულ პირებს საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდება;

ბ) საღამოს (ცვლის) სკოლების ყველა მუშაკამდე დაიყვანონ ამ სკოლების ახლად დამტკიცებული დებულების შინაარსი. ამასთან საღამოს (ცვლის) სკოლების ხელმძღვანელებს განუმარტონ, რომ ეს სახელმძღვანელო დოკუმენტი შეიცავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობს ამ ტიპის სკოლების მუშაობის სპეციფიკიდან;

გ) საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლის დებულება გააცნონ საწარმოების, დაწესებულებების, ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს; ამასთან კვლავ გააცნონ მათ სკკპ და საბჭოთა მთავრობის სხვა გადაწყვეტილებანი საღამოს სკოლების შესახებ.

2. საღამოს (ცვლის) სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძემ):

ა) საღამოს (ცვლის) სკოლების ახალი დებულების შესაბამისად გადასინჯოს რესპუბლიკის საღამოს სკოლების ქსელი და წარმოადგინოს თავისი წინადადებანი;

ბ) ამ ტიპის სკოლების სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებისას გულმოდგინედ შეისწავლოს, თუ როგორ მიმდინარეობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებისა და საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლების დებულებ ს გაცნობა-შესწავლა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 19 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 11 მარტის ბრძანება № 160

### საღამოს სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

გავეცანი რა სოფლის საღამოს საშუალო სკოლების დირექტორთა თათბირ-სემინარის მუშაობის მასალებს, ამ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) 1971 წლის 1-ელ ივნისამდე დააზუსტონ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე 16—35 წლის მოქალაქეთა რაოდენობა, შეადგინონ მათი სწავლებაში ჩაბმის 3-წლიანი პერსპექტიული გეგმები და ჩატარებული მუშაობის შედეგებზე მომახსენონ მიმდინარე წლის 20 ივნისამდე;

ბ) იზრუნონ საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი ამაღლებისათვის, შეისწავლონ ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა და შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე;

გ) განსაკუთრებული ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების მუშაობაზე, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ამაღლებისათვის;

დ) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, კომკავშირულ-პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ორგანოების დახმარებით მიიღწიონ საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას;

ე) ადგილობრივ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ ზომები საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ მოსწავლეთა ხამუშაოზე მოსაწყობად, რომელთაც სწავლის პერიოდში თავი დაანებეს შრომით საქმიანობას;

ვ) მკაცრი კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა აღრიცხვაზე, არ დაუშვან კლასების გახსნის მიზნით მოსწავლეთა კონტინგენტის ხელოვნურად გადიდება, მიიღონ ზომები არასაპატრო მიზეზით სკოლებიდან მოსწავლეთა გასვლის წინააღმდეგ;

ზ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე შექმნან დამხმარე მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები და ქმედითად გამოიყენონ ისინი სკოლისა და წარმოება-დაწესებულებათა შორის მტკიცე, საქმიანი კავშირის განსახორციელებლად;

თ) გააუმჯობესონ საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, მიაღწიონ საწარმოო-დაწესებულებების, მათი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დაინტერესებას მათთან მომუშავე ახალგაზრდობის სწავლა აღზრდით; მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლე ახალგაზრდები სარგებლობდნენ კანონით დაწესებული შეღავათებით შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის შესახებ;

ი) დაეხმარონ ამ ტიპის სკოლებს მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით შეუფერხებლად სარგებლობის საქმეში;

კ) დროულად დაიყვანონ სკოლებამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან მიღებული სახელმძღვანელო მასალები და უზრუნველყონ მათში მოცემულ მითითებათა შესრულება;

ლ) ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 20 თებერვლის № 93 ბრძანებით და 1970 წლის 4 აგვისტოს № 9/411 ცირკულარული წერილით.

2. დაევალოს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს (ამხ. ვ. ჩინჩალაძეს):

ა) საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან საჭიროების მიხედვით შექმნას დაუსწრებელი კლასები იმ მოსწავლეთათვის, რომლებსაც სეზონურ მუშაობასთან დაკავშირებით ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო არა აქვთ გაკვეთილებზე სისტემატურად დასწრების საშუალება;

ბ) მიიღოს ზომები, საღამოს სკოლების თარგმნილი და ორიგინალური სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად;

გ) შეისწავლოს რსფსრ-ის სკოლების გამოცდილება ჩათვლის წიგნაკების ე. წ. ჩათვლის საკლასო ფურცლებით შეცვლის შესახებ;

დ) მოამზადოს საკითხი საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისათვის პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის გამოცემისა და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატების „საღამოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის“ დასაარსებლად;

ე) გააძლიეროს საღამოს სკოლებისადმი დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი, უზრუნველყოს, ერთი მხრივ, სკოლების სასწავლო-აღზრდელობით მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია და, მეორე მხრივ, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება.

3. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძემ) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. გ. საჯაიამ) მეტი ადგილი დაუთმონ თავიანთ ფურცლებზე საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის საკითხებს.

4. მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს საღამოს (ცვლის) სკოლების სამმართველოს (ამხ. ვლ. ჩინჩალაძეს).

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 11 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 12 მარტის ბრძანება № 174

### ყვარლის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ყვარლის სკოლა-ინტერნატს მუშაობაში მიღწევებთან ერთად გააჩნია მთელი რიგი ნაკლოვანებანი

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი „ყვარლის სკოლა-ინტერნატის სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ გადაეგზავნოს ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებასა და სკოლა-ინტერნატს.

2. დაევალოს ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. დ. ლაფაჩიშვილს და ყვარლის სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. ე. ლოლიაშვილს სახალხო განათლებისა და სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განიხილონ და დასახონ ღონისძიებანი ამ მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

განათლების განყოფილებამ 1971 წლის 1-ელ სექტემბრამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს ანგარიში მოხსენებით ბარათში აღნიშნული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 5 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

# მოხსენებითი ბარათი

## ყვარლის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

თქვენი დავალებით, ა/წლის 8-დან 11 იანვრამდე განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორებმა: ა. ბერიშვილმა, ო. ვახტანგაძემ ყვარლის განათლების განყოფილების ინსპექტორის დ. სეფიაშვილის, საზოგადოებრივი ინსპექტორების ე. ზაუტაშვილის, მ. ტატულაშვილის და ე. ლოლიაშვილის მონაწილეობით შევისწავლეთ ყვარლის სკოლა-ინტერნატის მუშაობა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ სკოლა-ინტერნატის დირექცია (დირექტორი ე. ლოლიაშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში თ. რუსიაშვილი) დამაკმაყოფილებლად მუშაობს სკოლა-ინტერნატის მატერიალური ბაზის განმტკიცების, აღსაზრდელთა შენახვისა და სწავლა აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

სკოლა-ინტერნატი დაკომპლექტებულია სათანადო სპეციალობისა და ცენზის მქონე მასწავლებლებითა და აღმზრდელებით.

აღსაზრდელებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნორმალური ცხოვრებისათვის. დამაკმაყოფილებელია სკოლა-ინტერნატის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა; დაცულია სისუფთავე სასადილოში, სამზარეულოში, საძინებლებში, დერეფნებსა და საკლასო ოთახებში. ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენის დაცვას. კარგად აქვთ მოწყობილი აღსაზრდელთა საოჯახო ოთახები. ყველა აღსაზრდელს გააჩნია კბილის ჯაგრისი, საპონი და სხვ.

ხკოლა ინტერნატი მუშაობს 1962 წლიდან. მისი კომპლექსი შედგება 5 შენობისაგან (სასწავლო, საძინებელი, სამეურნეო კორპუსები, სასადილო და მასწავლებელთა 8-ბინიანი სახლი). ინტერნატი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, ცენტრალური გათბობის სისტემით. მაგრამ იმის გამო, რომ სკოლა-ინტერნატი განიცდის წყლის ნაკლებობას, სასწავლო კორპუსში და საძინებელი კორპუსის II და III სართულებზე სველი წერტილები უმოქმედოდაა.

სკოლა-ინტერნატში ჯეროვანი ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციას. დაწესებულია ოთხჯერადი კვება. დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების შემოზიდვა და აღსაზრდელებამდე დაყვანა.

სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოფილია ნორმით გათვალისწინებული ყველა სახის რბილი და მაგარი ინვენტარით.

აღსაზრდელთა ესთეტიკური აღზრდის მიზნით სკოლა-ინტერნატში მთელი რიგი ღონისძიებები ტარდება. ჩამოყალიბებულია ქორეოგრაფიისა და ხალხური სიმღერების წრეები. ყველა კლასი ატარებს თვითმოქმედების საღამოს, ხოლო მათ შორის გამარჯვებული მართავს დასკვნით კონცერტს. აღსაზრდელებს უჩვენებენ კინო-სურათებს, აღნიშნავენ ბავშვების დაბადების დღეებს. შენობა გაფორმებულია გემოვნებით, არ შეინიშნება კედლების გადატვირთვა პლაკატებით, სტენდებითა და სურათებით. კეთილმოწყობილია სკოლა-ინტერნატის კარ-მიდამო. ტერიტორია შემოღობილია, დარგულია ნარგავები, მოკირწყლულია შიდამისასვლელი გზები, მოწყობილია სპორტული და სათამაშო მოედნები და სხვა.

სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ისინი ეხმარებიან სასადილოში მაგიდების გაწყობაში, დამზადებული სადილების მიტანაში. უფროსი კლასების მოსწავლეები ასუფთავებენ საძინებელ და საკლასო ოთახებს, შეფობას უწევენ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს.

სკოლა-ინტერნატში კარგად არის დაყენებული აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურეობა. საექიმო კაბინეტი უზრუნველყოფილია საჭირო სამედიცინო იარაღებით, მედიკამენტებითა და შესახვევი მასალით. თავის დროზე ტარდება აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება.

აღმასკომების გადაწყვეტილებით, სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე აყვანილია 78 ბავშვი, გადასახადისაგან ნაწილობრივ განთავისუფლებულია მხოლოდ ერთი აღსაზრდელი. ინტერნატს მშობელთა გადასახადებისაგან საშუალოდ თვეში ერიცხება 1188 მანეთი. მშობელთა დავალიანება 2 თებერვლისათვის შეადგენდა 925 მან. 56 კაპ.

სკოლა-ინტერნატში არ არის შესრულებული აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმა. გეგმით უნდა ყოფილიყო 340 მოსწავლე ფაქტიურად შემოწმების დღისათვის იყო 325 ბავშვი. აქედან 10 მოსწავლე სახლიდან მოსიარულეა.

სკოლა-ინტერნატი მუშაობს წინასწარ შედგენილი გეგმებით. აქვთ წლიური სამუშაო გეგმა, პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმა, უფროს პიონერხელმძღვანელის სამუშაო გეგმა, კლასის ხელმძღვანელთა და აღსაზრდელთა მეოთხედური ერთობლივი გეგმები, საგნობრივი წრეების გეგმები და სხვ.

სათანადო სიმაღლეზე დგას სკოლა-ინტერნატში პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. სხდომებზე განხილულია, როგორც მეოთხედის შედეგები, ისე ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა.

ინტერნატის ცხოვრებაში საჭირო ყურადღება ეთმობა შინასასკოლო ხელმძღვანელობასა და კონტროლს. სკოლის დირექტორი და მისი მოადგილეები ესწრებიან გაკვეთილებზე. აძლევენ მათ მითითებებს, ხოლო შემდეგ ამოწმებენ ამ მითითებათა შესრულებას. შევნიშნავთ, რომ აღმზრდელთა და მასწავლებელთა მუშაობაში ჩვენს მიერ შემჩნეული ზოგიერთი ნაკლი თავის დროზე იყო შემჩნეული მათ მიერ და გატარდა ღონისძიება, მაგრამ მისი სრული გამოსწორება დღემდე ვერ მოხერხდა.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი შეინიშნება გაკვეთილების ცხრილში. არასწორადაა შეტანილი სასწავლო დისციპლინების დასახელება, არის ისეთი შემთხვევები, როცა ძნელად ასათვისებელი საგნები მეექვსე გაკვეთილადაა შეტანილი, ხოლო საგნები, რომელთა სწავლებას ორი საათი ეთმობა კვირაში, უშუალედოდ, თანმიყოლებით არის შეტანილი ცხრილში.

მიმდინარე სასწავლო წლის მეორე მეოთხედი დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრა სკოლა-ინტერნატმა. 325 შეფასებული მოსწავლიდან ასწრებდა 297, მათ შორის „5"-ზე—14, „4"-ზე 44 მოსწავლე. ვერ ასწრებდა 27 მოსწავლე.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება სკოლა ინტერნატში ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლები: მ. კაციაშვილი—VI—VIII კლასებში, თ. ტყეშელაშვილი—VIII—X კლასებში). მოსწავლეები პროგრამული მასალის დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ. კარგია მათი დიქცია თხრობისას, ზუსტად გადმოსცემენ ფაქტობრივ მასალას და იცავენ თანმიმდევრობას. მასწავლებელი თ. ტყეშელაშვილი სისტემატურად მუშაობს მოსწავლეთა მეტყველების კულტურის გაუმჯობესებისათვის, კარგად ამუშავებს ნაწარმოების ტექსტს და გასაგებს ხდის მოსწავლეთათვის მის შინაარსსა და იდეას. VII კლასის მოსწავლეები დაუფლებულნი არიან ნაწარმოების რიტელი და მარტივი გეგმის შედგენას, სურათებად დაყოფასა და დახასიათებას. მოსწავლეთა მეტყველების ტონი დამაჯეჯერებელია, თხრობა გამართული.

IX კლასში მასწავლებელმა თ. ტყეშელაშვილმა გამოიკითხა ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ და გადასცა „ილია ჭავჭავაძის როლი ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში“.

გაკვეთილის ორგანიზაცია კარგი იყო. მოსწავლეებმა იციან როგორც განვლილი, ისე ფაქტობრივი მასალა. მასწავლებელი თავისუფლად გრძნობს თავს გაკვეთილზე და მოსწავლეებიც გამართულნი არიან. მასწავლებელს მიეცა მითითება: მეტი ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა მიერ საზეპირო ადგილების გამოყენებას—ციტირებას.

წერითი მუშაობის ნორმები დაცულია. ნამუშევრები გასწორებულია დროულად, სათანადო მუშაობა ტარდება დაშვებულ შეცდომებზეც.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება (მასწავლებლები: II—IV კლ. ლ. დენთოშვილი, V—X კლ. მასწ. ბ. ჩაჩიკაშვილი). ორივე უმაღლესი განათლებითაა. მასწ. ბ. ჩაჩიკაშვილს 1964 წელს დამთავრებული აქვს პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ხოლო ლ. დენთოშვილს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტი.

აღნიშნული მასწავლებლები სათანადოდ ვერ ფლობენ რუსულ ენას. ამიტომ არადამაკმაყოფილებლად მეტყველებენ. გაკვეთილების ჩატარების დროს უშვებენ ენობრივ შეცდომებს. მო-

სწავლეთა ცოდნა რუსულ ენაში დაბალია, განსაკუთრებით VII—VIII—X კლასებში. მოსწავლეთა სიტყვების მარაგი მეტად ღარიბია. გრამატიკა ისწავლება განყენებულად. მასწავლებლები არ უკავშირებენ გრამატიკის სწავლებას პროგრამით გათვალისწინებულ ლიტერატურულ მასალას. არ აწარმოებენ სიტყვების სათანადო ახსნას და ლექსიკონის შედგენას, იყენებენ მხოლოდ თარგმნის მეთოდს და ბავშვებს მოსაყოლ მასალას აზეპირებინებენ. ტექსტის შესწავლისას არ ატარებენ ახსნით კითხვას და გაკვეთილებზე მეტწილად ქართულ ენაზე მეტყველებენ. მასწავლებელ ბ. ჩაჩიკაშვილის მიერ არ სწორდება საშინაო და საკლასო რვეულები, იგი არ იცავს აგრეთვე საკონტროლო წერის ნორმებს, სახეებს და შეფასების ნორმებს. მასწავლებლები ლ. დენთოშვილი და ბ. ჩაჩიკაშვილი არ აწარმოებენ მოსწავლეებთან მუშაობას შეცდომების გასწორებაზე. ადგილზე ჩატარებულმა საკონტროლო წერითმა სამუშაომ დაადასტურა, რომ მოსწავლეებს აქვთ მომზადების მეტად დაბალი დონე; მაგალითად, VIII კლასში (კარნახი განვლილი მასალიდან) 21 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 19 მოსწავლემ.

ძალზე დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს X კლასის მოსწავლეებმა. მათ ვერ მონახეს ქვემდებარე და შემასმენელი მარტივ გავრცობილ წინადადებებში. არ იციან რამდენი ბრუნება და ბრუნვაა რუსულ ენაში და სხვ.

მასწავლებელი ლ. დენთოშვილი და ბ. ჩაჩიკაშვილი არასრულფასოვნად ადგენენ გაკვეთილების გეგმებს. მათ გეგმებში არ არის შეტანილი ფრონტალური კითხვები. არ ჩანს ახალ მასალაზე გადასვლის მომენტები, ასახსნელია ახალი უცნობი სიტყვები და სხვა.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება სკოლა-ინტერნატში მათემატიკა (მასწავლებლები ე. ხოსრაშვილი, თ. მებზევიშვილი, მ. ზუბიტაშვილი). აღნიშნულ მასწავლებლებს აქვთ უმაღლესი სპეციალური განათლება და პედაგოგიური მუშაობის საკმაო სტაჟი. ისინი სისტემატურად ემზადებიან გაკვეთილებისათვის და ატარებენ მათ სათანადო დონეზე. ახალი მასალის გადაცემისას მიმართავენ, როგორც ლექციურ, ისე თხრობით მეთოდებს, იყენებენ თვალსაჩინოებას. მიუხედავად ამისა, მათემატიკის სწავლებაში შეინიშნება ზოგიერთი ნაკლოვანებანი. გაკვეთილებზე, სისტემატურად არ

ხდება განვლილი მასალის განმეორება, ადგილი აქვს საკონტროლო ნამუშევრებში ჩასწორებებსა (მასწ. მასწ. ე. ხოსროშვილი, მ. ზუბიტაშვილი) და საკონტროლო სამუშაოების ლიბერალურად შეფასებას.

IX კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილი ნაკლებად ერკვევა ირაციონალურ და ბიკვადრატულ განტოლებათა ამოხსნაში. ვერ ახდენს სათანადო მათემატიკურ გარდაქმნებს. 20 მოსწავლიდან 5-მა მოსწავლემ მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქიმიის სწავლება (მასწავლებელი რ. ნათიშვილი). მასწავლებელი სათანადოდ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, მოსწავლეთათვის გასაგებად ხსნის გაკვეთილს, იყენებს კაბინეტში არსებულ თვალსაჩინოებებს, ობიექტურად აფასებს გამოკითხულ მოსწავლეებს, მოითხოვს მათგან განვლილი მასალის ცოდნას, მან მეთოდურად სწორად ჩაატარა გაკვეთილი VIII კლასში. გამოსაკითხი მასალა იყო „ატომგულის შედგენილობა“ და „იზოტოპები“. მოსწავლეთა უმრავლესობამ გაკვეთილი იცოდა, მათ იციან ატომგულის შედგენილობა, როგორ წარმოიქმნებიან იზოტოპები.

ახალი მასალა—„ცნება ქიმიური ელემენტების გარდაქმნის შესახებ“—ახსნა თხრობის მეთოდით, გამოიყენა დ. მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემა, მოსწავლეები ავარჯიშა ატომგულურ რეაქციათა ტოლობების დაწერაზე, გაკვეთილის ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ მან არ მოახდინა ახალი მასალის ათვისების შემოწმება ფრონტალური კითხვებით.

IX კლასში მასწავლებელმა გასაგებად ახსნა ახალი მასალა „წყლის სიხისტე“. გამოიყენა კინოფილმიდან „კალციუმი ბუნებაში“ ფრაგმენტი წყლის სიხისტეზე. ახალი მასალა მოსწავლეებმა გაიგეს. საშინაო დავალება დროულად მისცა. მასწავლებელი რ. ნათიშვილი ნაკლებ ყურადღებას უთმობს პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას.

დამაკმაყოფილებლად ატარებს ბიოლოგიური დისციპლინების გაკვეთილებს IV, V, VI, VII კლასებში მასწ. ს. სიფრაშვილი. იგი მომზადებული ცხადდება გაკვეთილზე, მოფიქრებულად ადგენს გაკვეთილის გეგმებს. IV კლასის მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იცოდნენ როგორც ფაქტობრივი, ისე განვლილი მასალა.

მასწავლებელმა გაკვეთილზე ჩაატარა ყველა საჭირო სადემონსტრაციო ცდა და დაკვირვებები, სწორად დაიცვა გაკვეთილის ძირითადი მომენტების რეკლამენტი, მეტი დრო დაუთმო ახალი მასალის განმტკიცებას და მოსწავლეებს მისცა საშინაო დავალება.

მასწ. სიფრაშვილის მიერ დაცულია საკონტროლო წერის ნორმები. ნაწერები გასწორებულია დროულად და შეფასებულია ობიექტურად, სკოლა-ინტერნატში მუშაობს ნორჩ ნატურალისტთა წრე, რომელშიც გაერთიანებულია V—VI—VII კლასების მოსწავლეები. მუშაობა მიმდინარეობს სათანადო გეგმის მიხედვით, რომელიც განხილული და დამტკიცებულია დირექტორის მიერ. კარგად არის მოწყობილი ბიოლოგიის კაბინეტი, აქვთ ცოცხალ მცენარეთა კუთხე და მოსწავლეთა თვითნაკეთი ფიტულები. მაგრამ სკოლა-ინტერნატს არა აქვს ცალკე გამოყოფილი მიწის ნაკვეთი. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ცალკეულ კლასებში ადგილი აქვს საპროგრამო მასალის გავლაში მნიშნელოვან ჩამორჩენას; ასე მაგალითად, V კლასში—8 საათი, VI კლასში—10 საათი, VII კლასში—10—12 საათი.

სკოლა-ინტერნატის VII და X კლასებში (მასწ. ნ. ჩიტრეკაშვილი) დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ფიზიკის სწავლება.

VII კლასის მოსწავლეთა დიდი ნაწილი კარგად ერკვევა, თუ რა გარდაქმნები ხდება ელექტრული მანქანის, თერმოელემენტისა და ფოტოელემენტის მუშაობის დროს; რა ენერგეტიკული პროცესები მიმდინარეობს აკუმულატორის დამუხტვისა და განმუხტვისას, სად იყენებენ პრაქტიკაში აკუმულატორებს; გაცნობილი არიან ელექტრულ წრედს, მის შემადგენელ ნაწილებსა და სხვ.

X კლასის მოსწავლეები კარგად ერკვევიან რხევით კონტურში მიმდინარე პროცესებში, შესატყვისი მაგალითები მოჰყავთ მექანიკური რხევებიდან, დამოუკიდებლად წერენ მუდმივი დენის კანონების გამომსახველ ფორმულებს, ხსნიან მარტივ ამოცანებს.

მაგრამ ასე არ ითქმის VI და IX კლასის მოსწავლეებზე. ისინი არასწორად განმარტავენ ფიზიკურ ცნებებს, ვერ ერკვევიან სიდიდეთა განზომილებაში, მასწავლებლის დახმარების გარეშე ვერ გადმოსცემენ წინა მასალას და სხვ. ეს ნაკლოვანებანი ძირითადად გამოწვეულია ამოცანების ამოხსნაზე არასაკმაო ვარჯიშით, სადემონსტრაციო ცდების ერთი ნაწილის ჩაუტარებლობით, ტექნიკურ საშუალებათა უკმარისობითა და სხვ.

მართალია, ერთგვარი ნაბიჯია გადადგმული ფიზიკის სწავლების გასაუმჯობესებლად, სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიისათვის გამოყოფილია ხელსაწყო-იარაღების შესანახი ოთახი, მოწყობილია საზიარო ლაბორატორია ფიზიკასა და ქიმიაში, ზოგჯერ უჩვენებენ სასწავლო ფილმებს, ატარებენ სადემონსტრაციო ცდების ერთ ნაწილს, ხსნიან ექსპერიმენტალურ ამოცანას, მაგრამ არასაკმაო რაოდენობით აქვთ მოწყობილობანი სასკოლო ექსპერიმენტისათვის. მექანიკაში სადემონსტრაციო ცდებისათვის ნაცვლად 58 დასახელების ხელსაწყოსი, აქვთ 21 სახის ხელსაწყო, ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოსათვის უნდა ჰქონდეთ 41 სახელწოდების 615 ცალი ხელსაწყო, ფაქტიურად კი აქვთ 29 სახელწოდების 67 ხელსაწყო და სხვ.

დამაკმაყოფილებლადაა შედგენილი ფიზიკის წრის სამუშაო გეგმები. საკითხები კარგადაა შერჩეული, სათანადოდაა დამუშავებული თემები. სწარმოებს დაზიანებულ ხელსაწყოთა შეკეთება.

შრომითი სწავლებისათვის ხეზე და ლითონზე სამუშაოდ შესაფერისი ფართობია გამოყოფილი. აქვთ სხვადასხვა სახის ხელსაწყო-იარაღები, დასამზადებელ დეტალთა ნიმუშები. მოწყობილია სტენდი, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისათვის მოსწავლეთა ერთ ნაწილში დანერგილია შრომითი ჩვევების ელემენტები.

ძირითადად კარგად არის დაყენებული სააღმზრდელო მუშაობა. აღმზრდელები მუშაობენ მეოთხედური გეგმების მიხედვით. სააღმზრდელო გეგმები აკმაყოფილებენ საჭირო მოთხოვნებს, მათში გათვალისწინებულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის თითქმის ყველა ძირითადი მომენტი. სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ აღსაზრდელებს რეჟიმული მომენტების დაცვასა და მის შესრულებაზე. კარგად მუშაობენ აღმზრდელები: ე. გოგილაშვილი (II კლასი), ნ. როსტომაშვილი (I კლასი), მ. თანდილაშვილი (VIII კლასი).

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი აღმზრდელი ვერ ნერგავს ბავშვებში წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, ვერ ახორციელებს საშინაო დავალების მომზადების პროცესში აღსაზრდელებზე საჭირო კონტროლს, არ ძალუძს მცირე დახმარების აღმოჩენაც კი წერითი დავალების შესასრულებლად, ზოგადად აწარმოებს ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას, ფორმალურად აწარმოებს საკლასო ჟურნალებიდან მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიმდინარე

ალრიცხვის ამოკრებას და შემდეგ არ ახდენს მასზე სათანადო რეაგირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა ინტერნატში არ არის ჩამოყალიბებული მზრუნველთა საბჭო. სკოლა-ინტერნატს შეფობას უწევს ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ ნაკლებად იგრძნობა მისი დახმარება ინტერნატისადმი.

ინსპექტორები: ა. ბერიშვილი

ო. ვახტანგაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 55—ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და კიროვის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ხაზვის სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . . . 3
2. ბრძანება № 56—ბოლნისის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ . . . . 8
3. ბრძანება № 65—რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 10
4. დადგენილება ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-10 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მე-11 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 15
5. ბრძანება № 81—განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალებების შესრულების შესახებ 21
6 ბრძანება № 95—ვანის, ზუგდიდის, თელავის, ჩოხატაურისა და ხაშურის რაიონების სკოლებში შრომითი სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . 25
7. დადგენილება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სკოლამდელ მუშაკთა ზონალური თათბირ-სემინარების ჩატარების შესახებ 34
8. ბრძანება № 124—საქართველოს სსრ გორის რაიონის სოფ. კარალეთის საღამოს საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის ი. ნონიკაშვილის შესახებ . . . . . 42
9. ბრძანება № 136—საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დებულების შესახებ . . . . . 44
10. ბრძანება № 160—საღამოს სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 53
11. ბრძანება № 174—ყვარლის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 56

Ცφ. 17/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-71 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,4

შეკვ. № 512. უე—06011 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 12, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 12 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19